სპორტიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 8 აგვისტო 2003 №147 (1918) | ფასი 50 თეთრი

გამო-ძახილი

დაამთავრეთ ჩამთავრებაა!

ფეხბურთი კოსტიუმი არ არის, კაცმა თავის ტანზე მოირგოს

გახუნებული სურათების განახლებას აზრი არა აქვს. სამი თანაშემწის გამო გამოთქმულ ვარაუდს კი გაგრძელება ისეთი ექნება, როგორც ჩვენშია მიღებული, ვინაიდან საქართველოში საქმე კეთდება არა ისე, როგორც საქმეს სჭირდება, არამედ ისე, როგორც მე მჭირდება. ხოლო რა მჭირდება, ჩემზე კარგად არავინ იცის.

მთელ მსოფლიოში ვითარება ისეთია, რომ ფეხბურთი კოსტიუმი არ არის, კაცმა თავის ტანზე მოირგოს და საჭირო ზომისა შეიძინოს. ფეხბურთს თავისი ზომები აქვს და თუ მას ვერ იცავ, ფეხბურთი არ გექნება.

იხილეთ მეორე გვერდი

ვიერიცი?!

მრთი გაფიქრება: აბრამოვიჩი აბრამიშვილი რომ ყოფილიყო, საქართველოში ჩამოსულიყო და...





დელ ბოსკემ პირი მოალო

პერესი და ვალდანო ძველი ჩეკისტებივით იქცევიან: სადაც ხელი მიუწვდებათ, რეალის მწვრთნელყოფილის სახელს შლიან

ბაიერნმა 10-ნომრიანი მაისურა დაასაქმა

როი მაკაიმ მიუნხენელებთან უკვე ივარჯიშა და შესაძლოა ხვალ „ჰანოვერთან“ ითამაშოს



REUTERS მიუნხენიდან

გამო-ძახილი
დაამთავრეთ ჩამთავრება!

ფეხბურთი კოსტიუმი არ არის, კაცმა თავის ტანზე მოირგოს

მერაბ ჟორდანია საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა.

მან განაცხადა, რომ სამ დამხმარესთან ერთად ციკლის ბოლომდე უხელმძღვანელებს ნაკრებს. ფეხბურთის ფედერაციის თავკაცმა ამით მიგვანიშნა, რომ რახან თბილისის „დინამომ" ივო შუშაკი ნაკრებში აღარ გაუშვა, ხოლო მორიგი შესარჩევი თამაში კარსაა მომდგარი, ის ისეთ მწვრთნელს ვერ მოიყვანს ნაკრებში, როგორიც სურს და წარმოუდგენია ჩვენი გუნდის სათავეში.

ამისა არც დრო დარჩენილა და არც კანდიდატი.

მეორე მხრივ, ეს გადაწყვეტილება მიგვანიშნებს, რომ ისევე, როგორც წინა შესარჩევი ციკლისას, საშემოდგომო თამაშებს კვლავ სავარჯიშო იერი აქვს. ეს სამწუხაროა, მეტი რომ არ იყოს. ფედერაციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილება მდგომარეობითაა ნაკარნახევი. წინა ციკლისას, მსგავს ვითარებაში მწვრთნელად ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძე დაინიშნა, მაგრამ ახალი ციკლის დაწყებისას ჩივაძე იმგვარი ხმაურით გადადგა, რომ მისი ახლა დანიშვნა შეუძლებელია. ასევე ძნელია, რომ თუნდაც დროებითი საქმისთვის სწორედ ახლა შეირჩეს რომელიმე ქართველი მწვრთნელი. ვერც ერთ ასეთ კანდიდატურას ხალხი, გულშემატკივარი, მედია დადებითად ვერ აღიქვამს. ამის მიზეზებიც ცნობილია და ახლა აღარ გავაგრძელებთ.

ამიტომ, ჟორდანიამ ერთადერთი შესაძლებელი გზა აირჩია. მართალია, ეს გზა არ არის შორსმიმავალი და რაიმე განახლების მომნიჭებელი ჩვენი ნაკრებისთვის, მაგრამ ჩვენთან იმედსა და განახლებაზე ლაპარაკი მხოლოდ ციკლის პირველ ორ ტურს სწვდება ხოლმე, მერე კი ისევ იწყება დროებითი, სამოლოდინო ოთხთვიური, რომელსაც უნოდებენ ხოლმე „ჩამთავრებას".

ნაკრების მწვრთნელს თანაშემწეებად ჰყავს რევაზ არველაძე, თემურ ქეცბაია და მიხეილ ყაველაშვილი. ამათგან მხოლოდ პირველს აქვს სამწვრთნელო გამოცდილება, ორნი კი ცნობილნი არიან თავიანთი სანიმუშო პროფესიონალიზმით და გახსნილი გონებით. სამივე თანაშემწე ევროპულ ფეხბურთში კარგად გარკვეული ახალგაზრდა კაცია და უბრალო ვარაუდით, ახალ ციკლში მათგან ერთ-ერთი ჩაიბარებს ნაკრებს.

წინასწარ თვლა უაზრობაა, მაგრამ ქართული ფეხბურთის უფროსობა შინაურს უფრო ენდობა, ვიდრე უცხოელს. ამაზე ლაპარაკით ყველა დაღლილია. პასუხი კი ერთია: იყვნენ უცხოელებიც, რა ხეირი დაგვაყარეს. ამ პასუხის პასუხი კი ასე გამოითქმის: და რა მიზანი დავუსახეთ?

ესეც ძალიან ძველი ამბავია. ამიტომ გახუნებული სურათების განახლებას აზრი არა აქვს. სამი თანაშემწის გამო გამოთქმულ ვარაუდს კი გაგრძელება ისეთი ექნება, როგორც ჩვენშია მიღებული, ვინაიდან საქართველოში საქმე კეთდება არა ისე, როგორც საქმეს სჭირდება, არამედ ისე, როგორც მე მჭირდება. ხოლო რა მჭირდება, ჩემზე კარგად არავინ იცის.

მთელ მსოფლიოში ვითარება ისეთია, რომ ფეხბურთი კოსტიუმი არ არის, კაცმა თავის ტანზე მოირგოს და საჭირო ზომისა შეიძინოს. ფეხბურთს თავისი ზომები აქვს და თუ მას ვერ იცავ, ფეხბურთი არ გექნება.

ამიტომ, საკვირველიც არაფერია. ერთადერთ გამოსავლად ისღა დარჩა, რაც ჩვენს ზომაზე მოჭრილ ფეხბურთში არსებობს. ეს მხოლოდ ჩამთავრებაა, რის დიდოსტატადაც ჩვენ სულ სხვა მწვრთნელს ვიცნობდით, მაგრამ მისი გამოჩენა ნაკრებში ახლა შეუძლებელი იყო.

ირაკლი გამყრელიძე

ნორვეგია
თასის 1/8 ფინალი
სტაბეკი 2:4 ალესუნდი
ტრონდსიო 1:0 ბრანი

ავსტრია
მაძსბუნდესლიგა IV ტური
შტურმი 0:2 რაპიდი

ფინეთი
პემიერლიგა
გადადებული მატჩი
ჰაკა 5:0 ჯაზი

შვედეთი
თასის 1/4 ფინალი
ჰალმსტადი 2:1 იორგრიტე
ასირისკა 4:1 გიოტებორგი
ვასბი 1:4 ელფსბორგი

ირლანდია
პრემიერლიგა
გადადებული მატჩები
დერი სიტი 1:1 შემროკ როვერსი
შელბურნი 1:1 კორკ სიტი
სენტ პატრიკზი 2:0 დუბლინი

პორტსმუთი მორჩა
გიორგი ქინქლაძე ისევ მარტოა

გიორგი ქინქლაძე ისევ ახალი გუნდის ძიებაშია. ბოლონდრონდელი ცნობა, შესაძლოა, ქართველმა ნახევარმცველმა ინგლისურ პრემიერლიგაში წლეულს აღზევებული „პორტსმუთის“ მაისურა მოირგოსო, თავად კლუბმა უარყო: „ქინქლაძე ძალიან კარგი ფეხბურთელია, თანაც თავისუფალი აგენტის სტატუსით და მისი გადაბირება ნებისმიერ გუნდს უფასოდ შეუძლია. ეს შეგვეძლო ჩვენც, მაგრამ მწვრთნელმა ჰარი რედნაპმა ქართველი ფეხბურთელი არ ისურვა“ — თქვა გუშინ „პორტსმუთის“ წარმომადგენელმა.

ქინქლაძე ინგლისურ კლუბთან ერთად ათი დღე ვარჯიშობდა და მისი იქ დარჩენა-არდარჩენის საკითხი სწორედ ამ კვირაში უნდა გარკვეულიყო. გიომ „პორტსმუთის“ შემადგენლობაში ორი ამხანაგური მატჩიც ჩაატარა და შერინგემისა და ფერდინანდს უწევდა ასისტენტობას. ქინქლაძის თქმით, ის „პორტსმუთში“ ახალი გუნდის მოძებნამდე ფორმის შესანარჩუნებლად ვარჯიშობდა. მას „დერბიში“ თავისი ყოფილი მწვრთნელისთვის, ამჟამად რედნაპის თანაშემწე ჯიმ სმიტისთვის უთხოვია ამ საქმეში დახმარება და თანხმობაც მიულია. ათი დღის ვარჯიშის შემდეგ კი გიორგი ქინქლაძე „პორტსმუთსაც“ დაშორდა და ახლა რომელ გუნდს მიაშურებს, ჯერ არ ვიცით.

ძოგა ინასარიძე





ჰარი რედნაპის და გიორგი ქინქლაძის გზები გაიყარა

ვარჯა დეკანოიძის ფოტო

ამერი გერმანიაში



ვარლამ კილასონია

ბადრი ჯიბლაძის ფოტო

ფკ ამერი, რომელიც შარშან დაარსდა და წლეულს საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში ითამაშებს, 16-დან 30 აგვისტომდე გერმანიაში, საერთაშორისო ტურნირზე სათამაშოდ არის მიწვეული.

ვინაიდან პირველ ლიგაში სეზონი 16 აგვისტოს იწყება, ფეხბურთის ფედერაციასთან შეთანხმებით, ფკ ამერის პირველი და მეორე ტურების მატჩები — ხაშურის „ივერიასთან“ და „ცხინვალთან“ — გადაიდო და მათი გამართვის ზუსტი თარიღები მოგვიანებით დაზუსტდება.

ფკ ამერი საშინაო შეხვედრებს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ჩაატარებს. მატჩების ანონსს „სარბიელიდან“ და „რეზონანსიდან“ შეგატყობინებთ.

ფკ ამერის მთავარი მწვრთნელია გაიოზ დარსაძე, მწვრთნელი — თამაზ კოსტავა. გუნდში ფკ ამერისავე ბავშვთა გუნდიდან გადმოყვანილ ფეხბურთელებთან ერთად თამაშობენ საქართველოს ნაკრების ყოფილი მოთამაშეებიც, დავით ასლანაძე, გიორგი კილასონია, გიორგი დავითნიძე და გიორგი ჩიხრაძე, რომელიც ამასთანავე გუნდის კაპიტანია.

ფკ ამერშივეა გიორგი კილასონიას უფროსი ძმა ვარლამიც, რომელსაც ტრავმამ და მშობლიური „გორდას“ მწვრთნელად დანიშვნამ თამაში მიატოვებინა, ახლა კი მოედანს ძველი შემართებით დაუბრუნდა.

ფკ ამერი სისტემატიურად გამართავს პრესკონფერენციებს. გარდა ამისა, კლუბის მუშაობით დაინტერესებულ და მწვრთნელებთან და ფეხბურთელებთან ინტერვიუების მსურველ ჟურნალისტებს ყოველთვის ექნებათ მათთვის საინტერესო ინფორმაციის მიღების საშუალება, რისთვისაც უნდა მიმართონ კლუბის პრეს-სამსახურს. ჩვენი ტელეფონის ნომერია 39 00 98.

გიორგი დარჯანია
ფკ ამერის
პრეს-სამსახურის უფროსი



ბადრი ჯიბლაძის ფოტო

წესით, ასეთი ფაქტით უნდა ამაყობდეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, სფფ-ის ჩინოსნები პრესკონფერენციებს უნდა მართავდნენ და ამ საქმის გასაღრმავებლად სამომავლო გეგმებზე მუშაობდნენ, მაგრამ ჩამიჩუმი არ ისმის ჭავჭავაძის 76-იდან, თითქოს არც არაფერი მომხდარაო. მაინც რა მოხდა ასეთიო, იკითხავთ...

A კატეგორიის ამბავი B კატეგორიაზე

მწვრთნელთა ლიცენზირების საკითხს ყველა საფეხბურთო ქვეყანაში რომ დიდი ყურადღება ეთმობა, თქმა არ უნდა. ამ პროცესის სრულყოფისთვის ფედერაციები დიდძალ თანხას ხარჯავენ და შედეგსაც ნელ-ნელა იმკიან.

ჩვენში მწვრთნელთა მომზადება-ლიცენზირების სისტემა ფედერაციამ უეფა-ს მოთხოვნის შესაბამისად დაიწყო. ამ საქმეს გაიოზ დარსაძემ მოჰკიდა ხელი. დარსაძე საქართველოში მწვრთნელთა მომზადების ცენტრის დირექტორად დაინიშნა და მოკლე პერიოდში B კატეგორიის მწვრთნელთა მომზადების პროგრამა წარმატებით განახორციელა. შევნიშნოთ, რომ B კატეგორიის ლიცენზია სამოყვარულო და ბავშვთა გუნდებში მუშაობის უფლებას იძლევა.

მაისის ბოლოს, სფფ-ში ფაქსი მივიდა, რომელსაც უეფა-ს ტექნიკური დირექტორი ენდი როქსბურგი აწერდა ხელს. მან სფფ-ის ჩინოსნებს მისწერა, დარსაძე B კატეგორიის ლიცენზირების პროცესს წარმატებით გაუძღვა, მადლობას ვუთვლით მას და „ჯიროს“ პროგრამით გათვალისწინებულ ივლისში გასამართ სევილიურ სხდომაზე თქვენს ფედერაციას რეკომენდაციას მივცემთ B კატეგორიის მწვრთნელთა კონვენციაში გასაწვრიანებლადო. როქსბურგის ამ ფაქსითაც კი ნათლად გამოჩნდა დარსაძის გაკეთებული საქმის მნიშვნელობა.

ივლისის ბოლოს სევილიაში ჩატარდა უეფა-ს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, სადაც სფფ ზემოთ ნახსენები კონვენციის წევრად აღიარეს. ამის დასტური ფაქსი დროულად მივიდა ფედერაციაში, მაგრამ შემთხვევით რომ არ შეგვეტყო, ვინ იცის, როდის ისურვებდა სფფ ამ კარგი ამბის გახმაურებას.

მოკლედ, ამიერიდან B კატეგორიის ლიცენზიის მფლობელ ქართველ მწვრთნელს ევროპის ნებისმიერი ქვეყნის სამოყვარულო და ბავშვთა გუნდებში შეეძლება მუშაობა, მაგრამ B კატეგორიამდე ასვლა საქმის ნახევარია. საიმისოდ, რომ კვალიფიციური, განსწავლული მწვრთნელები გვყავდეს, სფფ-ს A კატეგორიის მწვრთნელთა ლიცენზირება მაინც უნდა შეეძლოს. ამ პროცესის დაჩქარებას კი პირველ რიგში ფედერაციის ნება-სურვილი და ფული სჭირდება, თანაც ლიცენზირებისთვის საკმაოდ შრომატევადი პროცესებია გასავლელი. იმედი გვაქვს, ნაკრების მწვრთნელობას შეჭიდებული პრეზიდენტი ჟორდანია ამ მნიშვნელოვანი საქმისთვისაც მოიცლის.

პაატა კვანტალიანი

რუსთავში ისევ კარუსელი დატრიალდა
გორდა ჩაგორდა, იმედი აგორდა

ხუთწლიანი წვალების შემდეგ წლეულს „გორდა“ პირველ ლიგაში ჩაგორდა და გუნდის მომავალი უფრო ბუნდოვანი გახდა — ამხელა ქალაქმა უმაღლესლიგელისთვის ვერ გაიმეტა ელემენტარული ყურადღება და პირველ ლიგაში რა ხეირი უნდა ენახათ რუსთაველებს. ფეხბურთელებიც დატრიალდნენ, სხვაგან გაიხედეს. ასე იყო ყველა სეზონის შემდეგ, ცარიელი ენთუზიაზმით დაღლილები უკეთეს მომავალს ეძებდნენ, მაგრამ ბოლოს მაინც „გორდაში“ ბრუნდებოდნენ, ბრუნდებოდნენ დაპირებების იმედად და... ისევ მოტყუებულნი რჩებოდნენ.

დღესაც ასეა: „გორდას“ გაქცეულები უბრუნდებიან, ლატვიიდან არმაზ ჯელაძე ბრუნდება, კვლავაც რუსთავში არიან დავით ბერიძე და ლაშა სილაგაძე, დაბრუნებას ფიქრობს ლევან კაპანაძეც, გუნდთან ერთად ვარჯიშობს დიმიტრი არსოშვილიც, მიზეზი, რაღა თქმა უნდა, ტრადიციული დაპირებაა და ძალიან ცუდი იქნება, ყოველივეს ნაცნობი გაგრძელება რომ მოჰყვეს. არადა, იმედიანად არიან რუსთაველები. ამის დასტურია „გორდაზე“ შესისხლხორცებული მწვრთნელის, იასონ ალადაშვილის სიტყვები, გუშინ რომ გვითხრა:

„ორი თვეა, არ გამოჩენილა ძველი პრეზიდენტი სერგო ბუიღლიშვილი, გაურკვეველ სიტუაციაში ვიყავით, მაგრამ გუშინ ქალაქის ხელმძღვანელებმა დაგვიბარეს და გვამცნეს, გუნდს ჩვენ მივხედავთ, არაფერს მოვაკლებთო“.

ალადაშვილის თქმით, ინიციატივა დღესდღეობით რუსთავის მერიაში მოსაქმიანე, თბილისის პოლიციის ყოფილმა შეფმა სოსო ალავიძემ გამოიჩინა. ალავიძის პოზიცია მერმა მერაბ ტყეშელაშვილმაც გაიზიარა და გორდელებსაც იმედი გაუჩნდათ. გავრცელებული ინფორმაციით, დღე-დღეზე გუნდის პრეზიდენტად ქვემო ქართლის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცი ლაშა მინდელი დაინიშნება.

დავბრუნდებითო, სჯერა ალადაშვილს.

ნუ მოატყუებთ „გორდას“!..

პაატა კვანტალიანი

ალეკო ფიროსმანაშვილის ფოტო

იასონ ალადაშვილი

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲚᲘᲒᲐ

CHAMPIONS LEAGUE — ᲛᲔᲛᲠᲩᲔ ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲝ ᲔᲢᲐ�პᲘ. ᲡᲐᲞᲐᲡᲣᲮᲝ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ — CHAMPIONS LEAGUE

ᲨᲐᲮᲢᲐᲠᲘ (უკრაინა) 2:0 ᲨᲔᲠᲘᲤᲘ (მოლდოვა) (0:0)
1:0 ჯუკიჩი (59), 2:0 ბრანდაო (88)
ᲨᲔᲠᲘᲤᲘ: ხუჩანი, ტესტიმიცანუ, პრიგანიუკი, **ᲗᲐᲠᲮᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ**, ივანოვი, ჯ. ტუდორი (ფარიასი 24), ბორეცი, დადუ (ნესტერიუკი 70), ბლანკო, ოდია, ბარიშევი (კომლიონოკი 82)
გაფრთხილება: **ᲗᲐᲠᲮᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ**, ტესტიმცანუ, ბორეცი, **ᲗᲐᲠᲮᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ**
გაძევება: **ᲗᲐᲠᲮᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (86)
მსაჯი: ლაეკი (საფრანგეთი)
38 000 მაყურებელი

ᲛᲐᲙᲐᲑᲘ (თელ ავივი, ისრაელი) 1:1 *ᲟᲘᲚᲘᲜᲐ (სლოვაკეთი)* (0:1)
0:1 ხნინსკი (16), 1:1 პანცილი (25)

ᲰᲘᲙ (ფინეთი) 1:0 *ᲛᲢᲙ (უნგრეთი)* (1:3)
1:0 მაკელა (64)

ᲕᲐᲠᲓᲐᲠᲘ (მაკედონია) 1:1 ᲪᲡᲙᲐ (რუსეთი) (2:1)
0:1 გოგნიევი (31), 1:1 ვანდაირი (65)

ᲠᲣᲡᲔᲜᲑᲝᲠᲒᲘ (ნორვეგია) 4:0 ᲑᲝᲰᲔᲛᲘᲐᲜᲡᲘ (ირლანდია) (1:0)
1:0 კარადასი (43), 2:0 ბრატბაკი (51), 3:0 რ. სტრანდი (68), 4:0 ფ. იონსენი (76)

ᲡᲚᲐᲕᲘᲐ (ჩეხეთი) 2:0 ᲚᲔᲝᲢᲐᲠᲘ (ბოსნია) (2:1)
1:0 კუკა (43), 2:0 სკაჩელი (74)

ᲝᲛᲝᲜᲘᲐ (კვიპროსი) 2:2 *ᲕᲘᲡᲚᲐ (პოლონეთი)* (2:5)
0:1 ჟურავსკი (5), 1:1 რაუფმანი (16), 2:1 ხარალამბუსი (51), 2:2 ჟურავსკი (68)
გაძევება: სტოლარჩიკი (26, ვისლა)

ᲪᲡᲙᲐ (ბულგარეთი) 1:0 ᲠᲘᲣᲜᲘᲙᲘ (სომხეთი) (2:0)
1:0 ლეო ლიმა (90+3)

ᲒᲠᲐᲪᲔᲠᲘ (ავსტრია) 2:1 ᲢᲘᲠᲐᲜᲐ (ალბანეთი) (5:1)
1:0 სიკი (14), 2:0 კოლმანი (86), 2:1 აგოლი (90)

ᲐᲜᲓᲔᲠᲚᲔᲮᲢᲘ (ბელგია) 3:2 ᲠᲐᲞᲘᲓᲘ (რუმინეთი) (0:0)
0:1 ილიეში (41), 0:2 ბრატუ (43), 1:2 იესტროვიჩი (51), 2:2 ზეტერბერგი (52), 3:2 სეოლი (75)

ᲡᲚᲘᲛᲐ (მალტა) 0:6 *ᲙᲝ�პᲔᲜᲰᲐᲒᲔᲜᲘ (დანია)* (1:4)
0:1 იონსონი (18), 0:2 ნორიგაარდი (36), 0:3 იონსონი (41), 0:4 ჩეტკუტი (47ს.კ.), 0:5 ზუმა (50), 0:6 როლ-ლარსენი (68)

ᲘᲣᲠᲒᲝᲠᲓᲔᲜᲘ (შვედეთი) 2:2 *ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲘ (სერბეთი)* (1:1)
1:0 ა. იოჰანსონი (10), 1:1 ილიჩი (62), 1:2 მალბასა (67), 2:2 ვოვოა (77)

ᲓᲘᲜᲐᲛᲝ (ხორვატია) 2:1 ᲛᲐᲠᲘᲑᲝᲠᲘ (სლოვენია) (1:1)
0:1 ბალაიჩი (11), 1:1 ა. მიატოვიჩი (60), 2:1 დრპიჩი (63)
გაძევება: მიტუ (67, დინამო)

ᲡᲔᲚᲢᲘᲙᲘ (შოტლანდია) 1:0 ᲙᲐᲣᲜᲐᲡᲘ (ლიტვა) (4:0)
1:0 გვილდისი (21ს.კ.)

REUTERS დონეცკიდან

შახტარი — შერიფი. შახტარელ ზვონიმირ ვუკიჩს (შუაში) ბევრი კი სდიეს, მაგრამ მაინც გაიტანა

ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐᲨᲘ შეხვედრის დაწყებამდე რუსმა კორესპონდენტებმა რესტორანში შეიარეს. დიდად შესარგი ჭამა-სმის დაწესებულების დირექტორი „ვარდარის“ გულშემატკივარი გახლდათ. მოსკოველებმა მს მატჩის ანგარიშის პროგნოზი სთხოვეს. კლიენტებს მადას ხომ არ წაუხდენდა და ცსკა-ს სასარგებლოდ 3:0 იწინასწარმეტყველა, ჩვენების გამარჯვებისა არ მჯერაო.

რესტორანში ყველაფერი ფრიადზე დამთავრდა, მაგრამ სტადიონთან მდებარე კაფეში დაკა-დაკა ატყდა. არმიელთა გულშემატკივრები „ვარდარის“ ქომაგებთან რუსულად საუბრობდნენ. რამდენიმე სკოპიელი ალბანელი კაფეში შეცვივდა და სტუმარ-მასპინძლებს ჯოხებით დაერია. სააგენტო „რიას“ კორესპონდენტის თქმით, ალბანელებმა ისინი ინგლისურად გამოლანძღეს, მიზეზი კი თურმე მაკედონიელთა და რუსთა მართლმადიდებლობა ყოფილა.

დირექტორმა ანგარიში ვერ გამოიცნო. ცსკა-მ მასპინძლების წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ტაიმის შუაწელში დაწინაურდა. შესვენებამდე ყველაზე აქტიურმა სპარტაკ გოგნიევმა მეკარე უეკირის მოგერიებულ ბურთს მიუსწრო და იოლად გაიტანა. მანამდე გოგნიევმა არაერთხელ დაარტყა კარში და გოლი მისი მონდომების ლოგიკური დასასრული იყო. ეს ანგარიში სტუმრებს რა ხელს აძლევთ და მეტწილად ისინი უტევდნენ. თავის მხრივ „ვარდარის“ ბრაზილიელ ვანდაირ დოს სანტოსს ტაიმის მიწურულს გათანაბრება შეეძლო. მანდრიკინმა ბურთი უშნოდ მოიგერია, მასპინძელთა ფორვარდმა არაბრაზილიურად დაარტყა — დაუცველ კარში ბურთი ვერ შეაგორა.

მეორე ტაიმში გაზაევმა ფრონტის წინა ხაზის გასაძლიერებლად იანოვსკის ნაცვლად კირიჩენკო შეუშვა. მალე შერშუნიც შეცვალა ლაიზანსით, მაგრამ მათგან ცსკა-ს არ უხეირია.

ისევე როგორც მოსკოვში, „ვარდარმა“ მეტოქე კონტრშეტევაზე გამოიჭირა და გაათანაბრა. მრავალსვლიანი მაკედონიური კომბინაცია ვანდაირის ზუსტი თავურით დასრულდა — 1:1.

„უბედნიერესი კაცი ვარ — თქვა ნამატჩევს მასპინძელთა მწვრთნელმა ზორან სტრატევმა — ცსკა მებრძოლი გუნდია, ოღონდ ჯაბანნი არც ჩვენ ვართ. შეიძლება კიდეც გაგვიმართლა, მაგრამ რას დავეძებ, ეს ისტორიული მატჩია“.

ვალერი გაზაევი: „ვარდარს“ წარმატებას ვულოცავ. ორი შეხვედრის ჯამში მათ მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაში დაიმსახურეს. როგორც ჩანს, ჩემი გუნდისთვის ჩემპიონთა ლიგა ნაადრევია და ბრძოლას ამიტომაც გამოვეთიშეთ.“

ანდერლეხტში მასპინძლები შესვენებაზე ლამის გამოიტირეს, რადგან ისინი „რაპიდთან“ ორბურთიანი სხვაობით აგებდნენ.

ბელგიელებმა ბუქარესტში უგოლო ფრეს მიაღწიეს და შინ გამარჯვების იმედზე იყვნენ. ამიტომაც დაეხეტებოდნენ მოედანზე უგზო-უკვლოდ და პირველ ტაიმში ორი სამადლო მომენტი ძლივს შექმნეს. „რაპიდმა“ თავდაჯერებულობისთვის მეტოქე შესვენებამდე, ორწუთიან მონაკვეთში დასჯა. მანუელ გოდფრიოდმა დამხვდურთა მცველები გაარღვია და ბურთი შორეულ ძელთან გააცურა. იქ ჩასაფრებულიყო რობერტ ილიესი, რომელმაც ბურთს ფეხი დაუხვედრა და ანგარიში გახსნა.

უმალვე, სანამ მასპინძლები მოგონდებოდნენ, ილიესმა საგოლე პასი ფლორინ ბრატუს უკისრა და „ანდერლეხტის“ ქომაგები გააოგნა.

გასახდელში გვარიანად შეჯანჯღარებულმა ბელგიელებმა მეორე ტაიმი „რაპიდის“ მოხრჩობით დაიწყეს და ერთი გოლი მალევე გაქვითეს. კრისტიან ვილგელმსონმა ნენად იესტროვიჩს ბურთი თავზე დაასვა და მისი დარტყმული ზუსტი გამოდგა. წუთი არ იყო გასული ამ ამბიდან, რომ პერ ზეტებერგმა გაათანაბრა.

იშტაზე მოსულმა ბელგიელებმა ჯიგრიანად შეუტიეს და შეხვედრის დასრულებამდე თხუთმეტი წუთით ადრე ზეტერბერგის ნაკუთხურალი კორელემა კიმ-ჰეიონ სეოლმა გოლად აქცია.

დონეცკში შეკრებილმა 38 ათასმა მეშახტემ გოლამდე ერთი საათი იცადა. „შახტარმა“ სამოცი წუთის მანძილზე მეზობელ მოლდოველებს გოლი ვერ გაუტანა და ბერნდ შუსტერი ანერვიულა.

„ცხადია, ვღელავდი, რადგან დრო გადიოდა, გოლი კი არ ჩანდა. საბოლოოდ, კლასში სხვაობამ იძალა. ახლა „ლოკომოტივზე“ ფიქრიც შეიძლება. მოსკოველებთან მატჩისთვის ჩვენს ფანებს მობილიზებას ვთხოვ. ისინი „შახტარის“ არაერთი გამარჯვების სულისჩამდგმელნი არიან და მათი მხურვალე მხარდაჭერის იმედი მაქვს“ — თქვა ლეგენდარულმა შუსტერმა.

დონეცკში მასპინძლებმა თავიდანვე შეუტიეს და უკვე მესამე წუთზე „შერიფის“ მეკარემ საშინელი ძალით დარტყმული ბურთი ცხრიანიდან გაჭირვებით გამოაძრო. „შახტარის“ იერიშები მთელი ტაიმის მანძილზე არ განელებულა, თუმც მოლდოვის ჩემპიონმა მეტოქის ზეწოლას გაუძლო.

მეორე ტაიმის თხუთმეტი წუთი მილუულიყო, შერიფელმა მცველმა სერბი ლეგიონერი საჯარიმოს ხაზთან რომ დასცა. ზვონიმირ ვუკიჩმა ბურთი მიწას მოსწყვიტა და მეკარისგან მარცხენა კუთხეში ჩასრიალა.

შეხვედრის დასრულებამდე ორი წუთით ადრე „შერიფის“ ქართველი ვაჟა თარხნიშვილი მსაჯმა მეორე ყვითელ ბარათს გააყოლა. მალე კაცნაკლულ სტუმრებს მეორე გოლიც გაუტანეს. ანდრეი ვორობეის პასი ბრაზილიელმა ბრანდაომ შეირგო და — 2:0.

ლოთარ მათეუსმა ბელგრადული მატჩის შემდეგ ტყუილად არ დაიქადნა, „პარტიზანი“ „იურგორდენზე“ ოდნავ უკეთესი გუნდია და შემდეგ ეტაპზეც ჩვენ გავალთო.

სტოკჰოლმში „პარტიზანის“ საქმე მეათე წუთისთვის ჭაკად იყო. მასპინძელთა სამსვლიანი კომბინაცია ათიოდ მეტრიდან იოჰანსონის ზუსტი დარტყმით და გოლით დასრულდა.

შესვენების შემდეგ მათეუსმა მოედანზე ნაკრების ყოფილი წვერი ლუბიმკო დრულოვიჩი თამაშში შეიყვანა და მალე შედეგიც მოიმკო. მისი პასით საშა ილიჩმა ცხრა მეტრიდან გაათანაბრა. ამ მომენტიდან „პარტიზანმა“ ბურთი მოიგდო და ხუთიოდ წუთში ნებოლა მალბასამ სერბები დაწინაურა. შვედებმა გათანაბრება კი შეძლეს, მაგრამ სულ ეს იყო, რაც მოახერხეს. ფრემ მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე გზა „პარტიზანს“ დაულოცა, რომელსაც „ნიუკასლი“ ელის.

ᲕᲐᲟᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ



REUTERS სოფიიდან

ცსკა — ბუნიკი. სოფიელი ალტინ ჰაჯი კინაღამ ერევნელ კარლ ლომბეს გადაატა



REUTERS ბრიუსელიდან

ანდერლეხტი — რაპიდი. ბელგიელებს კიმ-ჰეიონ სეოლმა გაამარჯვებინა

რესტორნის დირექტორმა რუსებს აჭამა

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲝ ᲔᲢᲐ�პᲘ

ᲕᲐᲠᲓᲐᲠᲘ (მაკედონია) — ᲡᲞᲐᲠᲢᲐ (ჩეხეთი)
ᲛᲢᲙ (უნგრეთი) — ᲡᲔᲚᲢᲘᲙᲘ (შოტლანდია)
ᲠᲔᲘᲜᲯᲔᲠᲡᲘ (შოტლანდია) — ᲙᲝ�პᲔᲜᲰᲐᲒᲔᲜᲘ (დანია)
ᲐᲣᲡᲢᲠᲘᲐ (ავსტრია) — ᲛᲐᲠᲡᲔᲚᲘ (საფრანგეთი)
ᲑᲠᲘᲣᲒᲔ (ბელგია) — ᲓᲝᲠᲢᲛᲣᲜᲓᲘ (გერმანია)
ᲨᲐᲮᲢᲐᲠᲘ (უკრაინა) — ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ (რუსეთი)
ᲚᲐᲪᲘᲝ (იტალია) — ᲑᲔᲜᲤᲘᲙᲐ (პორტუგალია)
ᲓᲘᲜᲐᲛᲝ (უკრაინა) — ᲓᲘᲜᲐᲛᲝ (ხორვატია)
ᲠᲣᲡᲔᲜᲑᲝᲠᲒᲘ (ნორვეგია) — ᲓᲔᲞᲝᲠᲢᲘᲕᲝ (ესპანეთი)
ᲑᲠᲐᲡᲰᲝᲞᲔᲠᲘ (შვეიცარია) — ᲐᲛᲙ (საბერძნეთი)
ᲟᲘᲚᲘᲜᲐ (სლოვაკეთი) — ᲩᲔᲚᲡᲘ (ინგლისი)
ᲡᲔᲚᲢᲐ (ესპანეთი) — ᲡᲚᲐᲕᲘᲐ (ჩეხეთი)
ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲘ (სერბეთი) — ᲜᲘᲣᲙᲐᲡᲚᲘ (ინგლისი)
ᲒᲐᲚᲐᲢᲐᲡᲐᲠᲐᲘ (თურქეთი) — ᲪᲡᲙᲐ (ბულგარეთი)
ᲐᲜᲓᲔᲠᲚᲔᲮᲢᲘ (ბელგია) — ᲕᲘᲡᲚᲐ (პოლონეთი)
ᲒᲠᲐᲪᲔᲠᲘ (ავსტრია) — ᲐᲘᲐᲥᲡᲘ (ჰოლანდია)

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲜᲔᲑᲘ — 12-13 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ, ᲡᲐᲞᲐᲡᲣᲮᲝᲜᲘ 26-27 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲐᲠᲗᲔᲑᲐ

ინტერტოტოს თასი 2003

ნასეირვებინალი საბოლოო მატჩები

ლიბერეცი (ჩეხეთი) 0:0 ***შალკე*** *(გერმანია)* (1:2)
შალკე: როსტი, კლასენერი, ვალდოხი, მატელანი, როდრიგესი, ასამოა (სანდი 77), ალტინტოპი, ვერმანტი (ქობიაშვილი 61), ზაიცი (ტროიანი 77), აგალი, ციომერი
გაფრთხილება: როდრიგესი, ვალდოხი
მსაჯი: მესნერი (ავსტრია)
9 090 მაყურებელი

კოპერი (სლოვენია) 1:0 ***ჰერენვენი*** *(ჰოლანდია)* (0:2)
1:0 იაკომინი (30)

ვოლფსბურგი *(გერმანია)* 4:0 **ციბალია** (ხორვატია) (4:1)
1:0 კლიმოვიჩი (33), **2:0** კარჰანი (49), **3:0** ტოპიჩი (58), **4:0** დ. მუნტიანუ (75)

ვერდერი (გერმანია) 1:1 ***პაშინგი*** *(ავსტრია)* (0:4)
1:0 ხარისტიასი (33), **1:1** კისენებნერი (88)

პერუჯა *(იტალია)* 0:0 **ნანტი** (საფრანგეთი) (1:0)
გაძევება: დელომო (59, ნანტი)

ვილიარეალი *(ესპანეთი)* 2:0 **ბრნო** (ჩეხეთი) (1:1)
1:0 ხორხე ლოპესი (22), **2:0** ხავი გარსია (86)

ვილიარეალი — ბრნო. ესპანელი ხოსე მარი პირველი მატჩისგან განსხვავებით ამჯერად უგოლოდ დარჩა

ციგალია ჩიჩიკა, მგელს კბილებში ეპოვეს

ინტერტოტოდან უეფას თასზე გადასვლის მსურველთა რიცხვი ექვსამდე დაიწურა. ორი გუნდი შერჩა გერმანიას, ორივე მოუშთეს ჩეხებს. იტალიის, ესპანეთის, ჰოლანდიისა და ავსტრიის რჩეულები ისევე განაგრძობენ სამი ადგილისთვის ბრძოლას.

ხორვატიაში პირველივე მატჩში საქმემომთავრებულ „ვოლფსბურგს" მოგება არც საპასუხო შეხვედრაში გასჭირვებია. იურგენ რიობერმა ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეთა უმეტესობა მეორე ბუნდესლიგური ტურისთვის დაასვენა და შანსი სამარქაფო „მგლებს" მისცა.

მასპინძლებმა ნახევარი საათი კბილები ილესეს და პირველი ტაიმის შუაწელში დიეგო კლიმოსიჩმა „ციბალიას" მეკარე მარიჩს ორი მატჩის ჯამში მეხუთე გოლი გაუტანა. „ვოლფსბურგმა" შესვენებამდე ერთი იკმარა, მეორე ტაიმში კი ანგარიში, ხორვატიული შეხვედრის მსგავსად, ოთხამდე გაზარდა. „ციბალიას" ცოდვაში ფეხი კარჰანმა, ტოპიჩმა და მუნტიანუმ ჩადგეს.

როგორც ჩანს, იურგენ რიობერმა კარგად შეთამაშებულ-აწყობილი გუნდი გაამზადა. ბუნდესლიგაც მოგებით დაიწყეს და ხორვატიული ბარიერიც რვა გატანილი გოლით გაიარეს.

ჩვენთვის კარგად ნაცნობი „ლიბერეცი" „შალკეს" გელზენკირხენშიც გვარიანად გაუძალიანდა და შინაც ბოლომდე იბრძოლა. მიუხედავად ამისა, გერმანული გუნდის დაცვა საგოლედ ვერ გატეხა.

იუპ ჰაინკესმა „დორტმუნდთან" ნათამაშები პირველი ტურის შემდეგ შემადგენლობა გადაახალისა. მხოლოდ ხუთი ფეხბურთელი — როსტი, ვალდოხი, ასამოა, ალტინტოპი და აგალი — დატოვა თერთმეტეულში, დანარჩენები კი შეცვალა. მათ შორის ლევან კობიაშვილიც მოხვდა. მის ნაცვლად ერთი საათის მანძილზე ვერმანტმა ითამაშა და ჰაინკესმა ქართველი მეორე ტაიმის დაწყებიდან თხუთმეტ წუთში შეუშვა.

„შალკემ" თავი ფაქტობრივად უშეცდომოდ დაიცვა და მასპინძლები საკუთარ კარს არ გააკარა. თავად სტუმართაგან ყველაზე რეალური მომენტი შესვენების შემდეგ ასამოას ჰქონდა.

ოდესღაც „ვერდერი" ისეთი ანგარიშებით ამარცხებდა, უფრო სწორად, ანადგურებდა მეტოქეებს, რომ ბრემენელი „მუსიკოსების" დაკრული შოკში აგდებდა მოწინააღმდეგე გუნდებს. ამჯერად „ვერდერმა" სასწაულის მოხდენა ვერ შეძლო. პირველ, ავსტრიულ მატჩში 0:4-ზე დამარცხებულმა გერმანელებმა შესვენებამდე ერთის გატანა კი მოახერხეს, მაგრამ, როგორც ჩანს, მათ დიდად არ ეინტერტოტოებათ ეს ტურნირი და ამიტომაც კიდევ ოთხი გოლის შესაგდებად თავები არ დაუხოცავთ. „პაშინგმა" კი შეხვედრის მიწურულს კისენებნერის წყალობით გაათანაბრა და „ვერდერს" დაუმარცხებლად დაშორდა.

„ვილიარეალს" სონი ანდერსონი შეერგო. ბრაზილიელმა თავისი პირველი გოლი გაიტანა ახალ გუნდში. პრიმერელებს სტუმრად გაჩარხული 1:1-იც ჰყოფნიდათ. „ბრნოს" კაცი გაუძევეს და „ლა მადრიგალზე" ორი გოლი იოლად გავიდა. მეორე თავის ანგარიშზე ხორხე ლოპესმა მიითვალა.

„პერუჯამ" იტალიურად ითამაშა ნანტშიც და შინაც — კარი მშრალად შეინახა, სლოვენიურ „კოპერს" კი კიდევ ერთიც რომ გაეტანა, „ჰერენვენს" სტუმრად ყოფნა კიდევ ნახევარი საათით გაუგრძელდებოდა. პირველ ტაიმში იაკომინის გატანილს მასპინძლებმა ვეღარაფერი მიამატეს და ინტერტოტოს ხელი დაუქნიეს.

ვაჟა ხუციშვილი

ფინალი

პაშინგი (ავსტრია) — **შალკე** (გერმანია)
ჰერენვენი (ჰოლანდია) — **ვილიარეალი** (ესპანეთი)
პერუჯა (იტალია) — **ვოლფსბურგი** (გერმანია)

პირველი მატჩები — 12 აგვისტოს, საბოლოოები 26 აგვისტოს გაიმართება

ამხანაგური მატჩი

სპორტინგი (პორტუგალია) 3:1 **მანჩესტერი** (ინგლისი)
1:0 ფელიპე (25), **2:0**, **3:0** ჟოაუ პინტუ (62, 80), **3:1** უგო ვიეირა (87ს.კ.)
სპორტინგი: რიკარდუ, გარსია (სერჯიო 87), ბეტუ სეკერუ (ანდერსონ პოლგა 82), უგო ვიეირა, რუი ჟორჟე (ტელიუ 56), კუშტოდიუ, როჩემბაკი (რუი ბინტუ 79), ფელიპე, ჟოაუ პინტუ (ტონიტო 86), დერლეი სილვა (ლოურენკუ 75), რონალდუ
მანჩესტერი: ბარტეზი, ოში (ლინნი 53), სილვესტრი, ფერდინანდი, ფორჩუნი (ვან ნისტელროი 79), რიჩარდსონი (პაფი 59), ბათი (ფ. ნევილი 59), ჯემბა-ჯემბა, სქოულზი (ფლეტჩერი 59), ბელიონი, სოლსკიაერი
52 000 მაყურებელი



REUTERS ლისაბონიდან

ფაბიო როჩემბაკმა და ოლე გუნარ სოლსკიაერმა ერთმანეთს არაფერი დაუთმეს

ძველი საზღვარი ბრძოლასავით

პორტუგალიურმა ჯარაველამ ამაყ ინგლისელებს გაარტყა

„მანჩესტერ იუნაიტედმა" ლისაბონში „სპორტინგთან" 1:3 მარცხით დაასრულა სეზონისწინა მზადება და ამერიკაში მოგებული ოთხი მატჩის შემდეგ პორტუგალიის გავლით დაბრუნდა შინ.

„სპორტინგ" — „იუნაიტედის" მატჩმა ოფიციალურად გახსნა ევროპის საგაისო ჩემპიონატისთვის განახლებული, 1906 წელს ვიკონტ ალვალადეს მიერ აშენებული მისივე სახელობის სტადიონი.

„მანჩესტერის" რიგებში პირველად გამოჩნდა ერიკ ჯემბა-ჯემბა, რომელმაც „ჩელსიში" გადასული ხუან ვერონის ადგილი დაიკავა. მას დაემატნენ ფაბიენ ბარტეზი და მიკაელ სილვესტრი, რომლებიც ამერიკაში არ ყოფილან.

„მანჩესტერს" ამ თამაშის მოგება სურდა, რათა კარგ ხასიათზე შეგებებოდა სეზონის პირველ ნამდვილ თამაშს, საზოგადოებრივი ფარის (სუპერთასის) შეხვედრას „არსენალთან". ამის მიუხედავად, რუდ ვან ნისტელროიმ მხოლოდ თერთმეტი წუთი ითამაშა, ხოლო კაპიტნად ნიკი ბატი იყო.

საერთოდ, „სპორტინგს" და „მანჩესტერს" კარგი ურთიერთობები აქვთ, ერთმანეთის ნორჩებსაც აჯიბრებენ და პეტერ შმაიხელის გადასვლაც ტკბილად მოარიგეს ოთხი წლის წინათ. ამიტომ, სტადიონის გასახსნელად „სპორტინგმა" სწორედ ეს გუნდი მიიწვია, იმის მიუხედავად, რომ ოთხივე ამხანაგური წაეგო სეზონისთვის მზადებისას.

საკუთრივ თამაში იმგვარი გამოვიდა, რომ ჭიდილი კი იყო, მაგრამ პირველი დარტყმა მე-18 წუთზე შესრულდა: ლისაბონში „ბარსელონადან" ახალგადასულმა ფაბიო როჩემბაკმა ცოტათი გადააცილა კარს. ორიოდ წუთში კრისტიანო რონალდუს კარგად აუღო ბარტეზმა.

„სპორტინგმა" ტაიმის შუისთვის შუა მოედანი აიღო, თუმც ჯემბა-ჯემბამაც კარგი დაურტყა მასპინძლებს. სპორტინგელთა პირველი გოლი ასე გავიდა: რუი ჟორჟემ მარცხნიდან ჩაკიდა და შორ ძელთან ჩასაფრებულმა ფელიპემ ბარტეზის შეცდომა გამოიყენა. საერთოდ, ბარტეზი თან ცდებოდა და თან კარგ ბურთებსაც იღებდა.

მეორე ტაიმი ექვსი წუთის დაწყებული იყო, როცა უბერებელმა ჟოაუ პინტუმ კარგად გაუჭრა რონალდუს, მაგრამ მეკარემ ივარგა.

მეორე ტაიმში ალექს ფერგიუსონმა ხუთი ფეხბურთელი შეცვალა, „სპორტინგმა" კი ხუთი შეცვლა ბოლო თხუთმეტ წუთში განახორციელა.

მეორე გოლი „მანჩესტერს" ჟოაუ პინტუმ გაუტანა თავით. ის თამაშის ყველაზე დაბალი მოთამაშე იყო პოლ სქოულზის შემდეგ. ამას მისივე მესამე გოლი მოჰყვა და „მანჩესტერი" უკვე გამანადგურებელი შედეგით აგებდა, რამაც „ალვალადეზე" შეკრებილი ხალხის აუწერელი ჟრიამული გამოიწვია. „მანჩესტერის" ერთადერთი საპასუხო თამაშის დასრულებამდე ორი წუთით ადრე ისევ პორტუგალიელებმა გაიტანეს საკუთარ კარში, რაც ინგლისელთათვის სამარცხვინოც კი იყო ამერიკაში ბრწყინვალედ ჩატარებული ტურნეს შემდეგ.

ირაკლი გამყრელიძე



REUTERS ლისაბონიდან

ჟოაუ პინტუმ „მანჩესტერს" ორჯერ გაუტანა

ნუ გაიკვირვებთ, თუ ხვალ კიდევ ერთი ხმაურიანი ტრანსფერის შესახებ გამცნეთ. რომან აბრამოვიჩი ფეხბურთელებს მართლაც რომ პამიდვრებივით კრეფს თუ ყიდულობს. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ამ კაცს გემოვნება მართლაც არ დაეწუნება

ვიერიცა?!

ერთი გაფიქრება: აბრამოვიჩი აბრამიშვილი რომ ყოფილიყო, საქართველოში ჩამოსულიყო და...

უეინ ბრიჯი, გლენ ჯონსონი, დემიენ დაფი, ჯერემი ნჯიტაპი, ჯო კოული, ხუან სებასტიან ვერონი უკვე „ჩელსის“ ფეხბურთელები არიან, ახლა კი საქმე კარზე დაგეშილ ფორვარდს ეხება.

ერთი სიტყვით, ბრიტანული საინფორმაციო წყაროების ცნობით მილანის „ინტერის“ პრეზიდენტმა რომან აბრამოვიჩის შეთავაზება მიიღო და... მილანელები თანახმანი არიან, 20 მილიონი გირვანქის სანაცვლოდ ლონდონში თვით კრისტიან ვიერი გაუშვან.

ვიერი თუ „ჩელსიში“ მართლა გადავიდა, კლაუდიო რანიერის დიახაც რომ საჩემპიონოდ შემართული გუნდი ეყოლება.

კრისტიან ვიერიმ ამას წინათ დაიფიცა, „ინტერის“ ერთგული ვარ, რა ლონდონი, რის „ჩელსიო“. ახლა კი სხვანაირად აჭიკჭიკდა. ბობო ფოტორეპორტიორებს ლონდონში შეუმჩნევიათ, ჟურნალისტებმა კი მისი ნათქვამი გამოამზეურეს, თუ კვირაში ხელფასად 135 000 გირვანქას დამინიშნავენ, თანახმა ვარო.

ვერ გეტყვით, რას შეჰპირდა აბრამოვიჩი ვიერის, მაგრამ ბრიტანულ გაზეთ „დეილი ინდეპენდიენტს“ თუ ვენდობით, საქმე გაჩარხულა. „აბრამოვიჩი და მორატი უკვე შეთანხმდნენ. კრისტიან ვიერი „ინტერს“ ტოვებს და „ჩელსიში“ 20 მილიონ გირვანქად გადადის. ფეხბურთელი თანახმაა, კონტრაქტს ხელი წუთი წუთში მოეწერება და იტალიელს წელიწადში 5 მილიონი გირვანქა დაენიშნება“.

იმავე გაზეთის ცნობით, „ჩელსიში“ მალე გამოჩნდებიან „ლიდსის“ მეკარე ნიჯელ მარტინი, რომლის ტრანსფერიც 500 000 დოლარი დაჯდება და „რეალის“ ფრანგი საყრდენი ნახევარმცველი კლოდ მაკელელე. ეს სამეულიც და რომან აბრამოვიჩი „არისტოკრატთა“ დაკომპლექტებას საბოლოოდ დაასრულებსო.

გიორგი ვაშაკიძე





ვინსენტე დელ ბოსკეს ნაღვლისა და ბოღმის ბუშტი გაუსკდა

პერესი და ვალდანო ჩემს სახელს ცოცხით დასდევენ

სანამ მადრიდის „რეალი“ აზიას წინ და უკან სერავს, დევიდ ბექემი კი თავის კუდს მოედანზე დააქანქარებს, ვინსენტე დელ ბოსკემ „სამეფო კლუბის“ პირველი ვეზირისთვის მოიცალეს პირველი ფლორენტინო პერესია, რომელმაც მადრიდული ზაფხულის ერთ მშვენიერ საღამოს კლუბის ოფისის ნახევრადმიბნელებულ, ინტიმურ დერეფანში ულვაშა მწვრთნელს, თავისუფალი ხარო, ჩასჩურჩულა.

მას შემდეგ იმდენი დრო ჯერ არ გასულა, დელ ბოსკეს იარა მოეშუშებინა. მისი მოხსნის თემა ესპანეთში კვლავ აკერიათ. აგერ, ერთერთ ტელეკომპანიისთვის მიცემულ ინტერვიუში ულვაშამ ისეთები დაფქვა...

აი, რა თქვა პერესისგან გულლახვარსობილმა: „პრიმერადივიზიონის მიწურულს, როცა ჩვენ მადრიდის „ატლეტიკო“ 4:0-ზე გავბღვენით, უნდა გენახათ ფლორენტინო პერესისა და ხორხე ვალდანოს დაზაფრული სიფათები. უცნაურია, არა? წესით, მათ უნდა გახარებოდათ, რადგან იმ გამარჯვების შემდეგ ჩემპიონობის რეალური შანსი გაგვიჩნდა და „რეალ სოსიედადს“ უკვე ვჯობნიდით. ზოგჯერ ისე მიყურებდნენ, თითქოს „მაასტრიხტთან“ ან „დორდრეხტთან“ წაგვეგოს და არა „ატლეტიკოსთვის“ მოგვეგოს. ხომ საინტერესოა? მათ ჩემი მოხსნა ეწადათ და საამისო მიზეზი სჭირდებოდათ. ჩემპიონები რომ ვერ გავმხდარიყავით, დარწმუნებული ვარ, გასახდელში ფეხის შედგმამდე გამათავისუფლებდნენ“.

დელ ბოსკემ სული მოითქვა, ულვაშები შეათამაშა და განაგრძო: „ახლა შორიდან ვაკვირდები და ვამჩნევ: ფლორენტინო პერესი ყველა ხერხით ცდილობს მადრიდის „რეალში“ ჩემი მიღწევების დაკნინებას, თითქოს საერთოდ არაფერი მიკეთებია. ისინი ვინსენტე დელ ბოსკეს სახელის ხსენებას გაურბიან. უნამუსოებმა ისიც კი იკადრეს, რომ კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნებული რობერტო კარლოსის ინტერვიუდან ჩემი და იეროს გვარები ამოჭრეს. მეტი რა გინდა, ვეფო! ფაქტობრივად, მაქრობენ!“

ბაჩა ხუციშვილი

თქვენ მასწავლით მე?!

წაიღეთ ეგ თქვენი რეიტინგი და... ურჩევს პაპელო ფიფას



ფაბიო კაპელომ ფიფას რეიტინგს ეჭვი შეჰკადრა. აი, კერძოდ, რა თქვა „რომას“ თავკაცმა:

„დაუჯერებელია და გაუგებარი, იტალიის ნაკრების დონის გუნდი მე-14 ადგილზე იყოს, ხოლო, მაგალითად, მექსიკა მეხუთე“. მოგეხსენებათ, რეიტინგს ფიფა ყოველ თვეში ანახლებს და უძლიერესი ქვეყნების ინდიკატორად მიიჩნევა.

„სულაც არ ვფიქრობ, რომ ამ რეიტინგს რაიმე მნიშვნელობა აქვს. ნამდვილი ინდიკატორი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპია. სწორედ იქ, მსოფლიოს ჩემპიონატზე ვარკვევთ, რომელია დედამიწის უძლიერესი ნაკრები“ — დასძინა მრავალი ტიტულის მქონე სპეციალისტმა.

პაპუნა კედია

ამხილეთ თაღლითობა ან შეთქმულება!

ახალი იტალიური სკანდალი: „რომას“ და „ნაპოლის“ ფინანსურ საქმეებს იძიებენ.

რამ გაახსენათ ამ კლუბების ფინანსები? საქმე ისაა, რომ იტალიური წესისა და კანონის თანახმად, ახალ სეზონში მონაწილეობისთვის ანუ რეგისტრაციისთვის საჭიროა სერია A-ს, B-სა და C-ს კლუბებმა შესაბამის კომიტეტს თავიანთი ფინანსური სტაბილურობის დამადასტურებელი ფურცლები წარუდგინონ. სწორედ ამ საქმეში ვერ ივარგეს „რომამ“ და „ნაპოლიმ“, თუმცა შემდეგ თითქოს გაუმართლათ კიდეც, რადგან გამოჩნდა ბანკი SBC, რომელიც მათ ვალებს თავზე იღებს.

თითქოს გაუმართლათო, ასე ვთქვით. დიახ, რადგან შემდეგ გაირკვა, ეს ბანკი მეტისმეტად პატარაა, ხოლო მისი უფროსები საქმის კურსში არ არიან. მაგალითად, ბანკის პრეზიდენტი, ფრანკო ჯომი ამბობს:

„დოკუმენტებიც ფალსიფიცირებულია და ჩვენი ყოფილი ადმინისტრატორის ხელმოწერაც“.

ერთი სიტყვით, აქ რაღაც საეჭვოა, მით უმეტეს, რომ შემდგომმა გამოძიებამ აჩვენა — საფეხბურთო კლუბ „კოზენცას“ და კალათბურთის კლუბ „ვიტრუს ბოლონიასაც“ გარანტად ეს SBC ბანკი უდგებოდა.

ასე და ამგვარად, არ არის გამრიცხული, რომ „რომასა“ და „ნაპოლის“ გვარიან მზაკვრობებში მონაწილეობა დუმტკიცონ და სერია A-დან კიწისკვრით გაგდონ, თუმცა მანამდე კლუბების წარმომადგენლებსაც უნდა მოვუსმინოთ.

„რომას“ პრეზიდენტი ფრანკო სენსი: „საგარანტიო ფურცლის SBC-სთვის გამორთმევა თავად კომიტეტის წევრმა მიკარნახა. გამოდის, რომ მოგვატყუეს და ამიტომ ამ თაღლითობისთვის ფარდის ჩამოსახსნელად სასამართლოში ვიჩივლებთ“.

საინტერესოა, რომ სენსისა და „ნაპოლის“ წარმომადგენელთა აზრით, ეს ყველაფერი ჯერ კიდევ „ფიორენტინას“ ამბიდან იღებს სათავეს, ყველაფერი ურთიერთკავშირშია და საგანგებოდ ხდება. კერძოდ რა არის და როგორ, ბუნებრივია, არავის უთქვამს, მაგრამ საკალათბურთო კლუბი, ზემოხსენებული „ვიტრუს ბოლონია“, იტალიაში კალათბურთის „იუვენტუსად“ მონათლული რომ კოტრდება, ფაქტია.



ფრანკო სენსი ამხილეს, მანაც ამხილა...

პუიოლმა ბარსა დაიფიცა

ბარსელონელ კარლეს პუიოლზე მრავალი ევროპული გრანდკლუბი ოცნებობს და ძლიერი კატალონიელი მობურთალით საკუთარი დაცვის გაძლიერებას ლამობს. განსაკუთრებით იტალიური გუნდები აქტიურობენ. „მილანს", „ინტერს", „რომასა" და „იუვენტუსს" პუიოლის ხელში ჩასაგდებად გაცხოველებული სატრანსფერო ვაჭრობა გაუჩაღებიათ, თუმც მათ აპენინურ შემართებას სათანადო ჯილდო ნამდვილად არ ელის. ფრანკ რაიკარდის შეგირდი „ბარსაშიც" მშვენივრად გრძნობს თავს და უახლოესი ორი სეზონის განმავლობაში არსად წასვლას არ აპირებს. თავად კატალონური ფლაგმანის თავკაცობამ კი კარგად უწყის დალალებიანი კარლესის საფეხბურთო სიჩაუქე და ამიტომაც მას ტრანსფერგარეშედ აცხადებს. „პუიოლი არც ერთ უცხოურ თუ ესპანურ კლუბში არ გადავა. ეს ერთდროულად მისი გადაწყვეტილებაცაა და „ბარსელონას" სურვილიც. კარლესი და ჩვენი გუნდი ერთი დიდი ცოცხალი ორგანიზმის განუყრელი ნაწილები არიან" — მტკიცედ განუცხადა „ბარსას" პრეზიდენტმა ხუან ლაპორტამ კატალონური „სპორტის" ჟურნალისტებს. პრიმერადივიზიონის გრანდის აპენინელთა სასურველი მცველი სპორტულ მედიაში მის შესაძლო იტალიურ ტრანსფერებზე ატეხილ ხმაურს გაულიზიანებია. „რომელიმე იტალიური ან სხვა ქვეყნის გუნდის ემისარს იქ გადასვლის მიზნით პირადად ჩემთვის არასოდეს მოუმართავს. მიკვირს, პრესამ რატომ ატეხა ამხელა აურზაური. თითქოს ყველამ კარგად იცოდა, „ბარსელონაში" დარჩენას რომ ვაპირებდი. ამას თქვენთან შეხვედრაშიც ვიმეორებ და შემიძლია, დავიფიცო, არც ერთი წუთით არ მიფიქრია კატალონიიდან წასვლაზე" — უთხრა პუიოლმა იქაურ „ელ მუნდო დეპორტივოს". ესპანელი თუ იტალიელი ჟურნალისტების პოზიცია გასაგებია, გასაკვირი არაფერია იმაში, თუ კატალონიელის დონის ფეხბურთელზე მსგავსი აჟიოტაჟი აფეთქდება, თუმცა ახლა ყველაფერი გარკვეულია — „ბარსა" და პუიოლი საბოლოოდ შეთანხმდნენ. მოთამაშეს კლუბში დარჩენა უნდა, ხოლო კლუბს იმასთან თანამშრომლობის გაგრძელება, ვინც მთელი ბარსელონას კერპად ქცეულა.

კარლეს პუიოლს არც ხუან ლაპორტას დირექციის მიერ წამოწყებული „სახელფასო შემცირების" პოლიტიკა შეხებია. კლუივერტისა და კოკუსგან განსხვავებით, მას და მის აგენტებს ჯამაგირის თაობაზე პრეზიდენტის მოსაცდელში არ უყურყუტიათ. ფრანკ რაიკარდის დაცვაში კარლესი შეუცვლელია და „ბარსელონას" თავკაცებიც ეგზომ პოპულარულ მობურთალს ფრიად დიპლომატიურად ექცევიან. საერთო ჯამში ერთი რამ კი ცხადია: კატალონიელ გულშემატკივარს შეუძლია, მშვიდად იყოს — მათ ყოჩაღს რამე მაცდუნებელი ტრანსფერი აღარ ემუქრება.

ლადო ხომერიკი

კიგანმა მაკმ... ფეხი სთხოვა

დევიდ ბექემი „რეალში" რომ გადავიდა, მადრიდული კლუბის ნახევარმცველებს საფიქრალი მიეძალათ, რა გვეშველება, ანი ვინ გვათამაშებსო...

ერთ-ერთი ამათგანი ინგლისელი სტივ მაკმანამანი გახლდათ. „მაკა" „რეალს" ჩინურ ტურნეში კი ახლავს, მაგრამ ეს ხომ ფორმალობაა — ჯერაც „რეალის" ფეხბურთელია და ვალდებულია, გუნდთან ერთად იყოს

ასეა თუ ისე, მაკმანამანი არ თამაშობს. მადრიდელთა ახალმა მწვრთნელმა კარლოს კეირუშმაც ვერ გამოუნახა ინგლისელს მინდორზე ადგილი. ნახევარდაცვაში ფიგუ, მაკელელე, ზიდანი, ბექემი... ფეხბურთს კი, მოგეხსენებათ, 11 კაცი თამაშობს.

მაკმანამანი ხორხე ვალდანომ, „რეალის" სპორტულმა დირექტორმა ტრანსფერზე რომ დააყენა სხვა „გამოუსადეგარ" ფეხბურთელებთან ერთად, ძველი ამბავია. ჰოდა, სტივს მსურველებიც უკვე გამოუჩნდნენ, სამშობლოდან შეეხმიანნენ, მანდ უქმად ჯდომას, ჩამოდი, ძირითადში ადგილი გარანტირებული გაქვსო.

ჯერ „ევერტონმა" და მისმა მწვრთნელმა დევიდ მოიესმა წამოყვეს თავი, მაგრამ ფეხბურთელმა დელიკატურად იუარა, „ლივერპულის" აღზრდილი ვარ და მის მოსისხლე „ევერტონში" აბა, როგორ ვიბურთავოო.

და არ დაახანა კევინ კიგანმა, „მანჩესტერ სიტის" მწვრთნელმა, მაკმანამანის დამფასებელმა. „ის ბრწყინვალე ფეხბურთელია, ჩვენ მას უკვე შევეხმიანეთ. თუმც მხოლოდ მაკმანამანი როდი გვსურს" — ამბობს კიგანი.

„სიტის" პრეზიდენტმა ჯონ უორდლმა კი ფანებს სულაც სიტყვა მისცა, პრემიერლიგის დაწყებამდე ბევრიც არაფერია დარჩენილი, მაგრამ ახალი სეზონისთვისაც აუცილებლად გავძლიერდებით. ერთი სტივ მაკმანამანია, მეორის ვინაობას კი მალე გაიგებთო.

სტივ მაკმანამანი

მოკლედ, სტივ მაკმანამანი თუ „სიტის" ფეხბურთელი გახდა, იგი დევიდ სიმენის და მიხაელ ტარნატის შემდეგ გუნდის მესამე ცნობილი და გამოცდილი წევრი იქნება.

გიორგი მაზაკიძე

უევროპო სასიძო

პალერმოს გიჟს ეძახიან, თორემ ძალიანაც ჭკვიანია

ესპანური „ვილიარეალისგან" დაწუნებულმა მარტინ პალერმომ კვლავაც ევროპაში დარჩენის სურვილი გამოთქვა. მიუხედავად იმისა, რომ ბენიტო ფლოროს გუნდთან თანამშრომლობის გაწყვეტა გარდაუვალია, ზორბა პატაგონიელი მობურთალი სამშობლოში დაბრუნების პერსპექტივას არცთუ ისე დიდი ხალისით ხვდება. „ჯერჯერობით არგენტინაში სათამაშოდ წასვლას არ ვაპირებ. მადლობელი ვარ იმ წინადადებების გამო, ჩემი ქვეყნის კლუბებიდან რომ მივიღე, მაგრამ ახლა ევროპის მიტოვება შეცდომად მიმაჩნია. საფრანგეთის, იტალიის ან ესპანეთის სხვა რომელიმე გუნდში მინდა კარიერის გაგრძელება" — განუცხადა მარტინ პალერმომ „მარკას" ჟურნალისტებს.

„ელ ლოკო" (პალერმოს მეტსახელი, ესპანურად გიჟს ნიშნავს) ახლა „ვილიარეალის" წევრებთან ერთად ვარჯიშობს და თავის საფეხბურთო ბედს ელის. არგენტინელი აწ უკვე ყოფილი კლუბის თავკაცთა გადაწყვეტილებას არ ასაჩივრებს და „მარკას" შეკითხვაზე მისი და პრეზიდენტ ფერნანდო როიგის უთანხმოებათა შესახებ დიპლომატიურად პასუხობს: „პაგვისტოს უკვე ვესაუბრე „ვილიარეალის" პრეზიდენტს და ჩვენი ურთიერთობა ძველებურად დაძაბული აღარ არის. მოვილაპარაკეთ, რომ ახალი გუნდის გამოძებნამდე ბიჭებთან ერთად „მადრიგალზე" ვივარჯიშებ. სათამაშო ფორმის შენარჩუნება ჩემთვის ახლა მნიშვნელოვანი საქმეა და ამიტომაც ვეცდები, მთელი დატვირთვით ვიმუშავო". ელ ლოკო 2001 წელს დიდი იმედებით გადმოვიდა ესპანურ პრიმერაში, თუმცა ამჟამად ორი უიღბლო სეზონისა და ფერნანდო როიგთან დაპირისპირების შემდეგ იძულებული ხდება, ევროპულ საფეხბურთო-სატრანსფერო ჰორიზონტებს მომლოდინე მზერა შეავლოს. „არგენტინაში სეზონთაშორისის არდადეგებზე ვიყავი, მაგრამ დიდი ხნით არ გავჩერებულვარ. არ მინდოდა, ხალხს ეფიქრა, თითქოს ფეხბურთზე ხელი ჩავიქნიე და იქაურ პლაჟებზე უდარდელად და უსაქმოდ ვნებივრობდი. იქაც ბევრს ვშრომობდი, რადგან ზედმეტი წონით დამძიმებული მარტინ პალერმო პრესტიჟულ ევროპულ კლუბებს ალბათ არ მოეწონებათ" — გულწრფელად აღიარა ჭირვეული ევროპის იმედად დარჩენილმა პატაგონიელმა მობურთალმა.



ლადო ხომერიკი

ისპო-ესპო კონსეისაუ

სიტყვა ბურთია, გადაგდო?

რა უფლება გვაქვს, ადამიანზე ცუდი ვთქვათ, მით უმეტეს, როცა არ ვიცნობთ, მაგრამ, ნება გვიბოძეთ, აზრი დელიკატურად და ეთიკურის ნორმების სრული დაცვით გამოვთქვათ.

ვერ ყოფილა პორტუგალიელი ნახევარმცველი სერჟიუ კონსეისაუ პირიანი კაცი. მილანის „ინტერიდან" გაშვებულმა ლისაბონის „სპორტინგს" რომ მიაკითხა და გუნდთან ერთწლიანი კონტრაქტიც გააფორმა, უკვე ვწერდით და...

ახლა კი გაირკვა, რომ კონსეისაუ თურმე რომის „ლაციოში" ითამაშებს, ხელშეკრულება აქაც ერთწლიანი გააფორმა. რა მოხდა? პორტუგალიელმა „სპორტინგს" პირი უტეხა, რომიდან შეეხმიანნენ თუ არა (კერძოდ კი რობერტო მანჩინი), მეორე დღესვე კონტრაქტის გაუქმება მოითხოვა, დაკრა ფეხი და სალამოსვე „ლაციოს" საწვრთნელ ბაზაზე იყო.

ლისაბონელთა რეაქცია ჯერჯერობით უცნობია. სამაგიეროდ, ძველი ამბავია სერჟიუს „რომაელობა". 28 წლის კონსეისაუ „ლაციოში" სწორედ იმ „ინტერში" გადასვლამდე თამაშობდა, სადაც ორი წლის მანძილზე ექტორ რაულ კუპერის გული ვერა და ვერ მოიგო.

„ლაციომ" პორტუგალიელი საჩემპიონთალიგო განაცხადში უკვე შეიყვანა, რომელებს მალე „ბენფიკასთან" უწევთ თამაში და კონსეისაუს ხელმეორე დებიუტი სავარაუდოდ სწორედ თანამემამულეებთან თამაშებისას შედგება. ისე, როგორი იქნებოდა, „ლაციოს" „ბენფიკას" მაგივრად „სპორტინგთან" რომ უწევდეს ჯახი...

გიორგი მაზაკიძე



დეიან სტანკოვიჩი და სერჟიუ კონსეისაუ „ლაციოში" კვლავაც ერთად იქნებიან

ძანეტი და დი ბიაჯო

ინტერის სუფრაზე ზოგს ათამადებენ, ზოგს აგდებენ

იტალიის ვიცე-ჩემპიონმა მილანის „ინტერმა" თავის კაპიტან ხავიერ ძანეტის კონტრაქტი გაუხანგრძლივა. აქამდე მოქმედი შეთანხმების თანახმად, არგენტინელი „ინტერში" მომავალი სეზონის ბოლომდე უნდა დარჩენილიყო, ახლა კი კიდევ სამი წლით ანუ 2007 წლამდე დარჩება „შავ-ლურჯების" რიგებში.

ხავიერ ძანეტი: „მიხარია და ვამაყობ, რომ კლუბთან ახალ შეთანხმებას მივაღწიე. ეს კონტრაქტი რომ ამოიწურება, ცამეტი წელი გავა მას შემდეგ, რაც „ინტერში" ფეხი შევდგი. ეს არის ჩემი მთავარი გამარჯვება. გუნდიდან წასვლაზე არასოდეს მიფიქრია. ყველაფერს რომ თავი დავანებო, ეს უდიდესი უპატივცემულობა იქნებოდა კლუბის გულშემატკივრებისა და მასიმო მორატის მიმართ."

ძანეტი, რომელიც ეროვნული ნაკრების კაპიტანიც გახლავთ, იტალიურ კლუბში 1995 წელს გადავიდა. იგი ნელ-ნელა მოერგო სერია A-ს და „ინტერის" ძირითად შემადგენლობაში მოიკიდა ფეხი. შემდგომში კი გუნდისთვის შეუცვლელ ფეხბურთელად და კაპიტნად იქცა.

ამის პარალელურად „ინტერმა" კონტრაქტი არ გაუხანგრძლივა ლუიჯი დი ბიაჯოს. ეს უკანასკნელი ბოლო დროს არც ისე დამაჯერებლად გამოიყურებოდა, რამაც კლუბს მასთან განშორება გადააწყვეტინა. თუმც დი ბიაჯო თავისუფალ აგენტად დიდი ხნით არ დარჩენილა. თითქმის გადაწყვეტილია, რომ იგი „ბრეშას" შეუერთდება. მხოლოდ ფორმალური მხარეა დარჩა მოსაგვარებელი.

ბოლოს კი აღვნიშნოთ, რომ იტალიური პრესის ცნობით, საცაა „ინტერი" კიდევ ერთ არგენტინელს, კილი გონსალესს გადაიბირებს. ესპანურ „ვალენსია" ნახევარმცველში 5 მილიონ ევროს ითხოვდა, ხოლო „ინტერი" კი მხოლოდ ამის ნახევარზეა ყაბულს. ახლა „ვალენსია" 3,5 მილიონზეც თანახმაა და, როგორც ვარაუდობენ, საბოლოოდ კლუბები 3 მილიონ ევროზე შეთანხმდებიან.

გიორგი ძაძაბაძე

ველით პასუხს

„უდინეზესგან" დავიდ პიზაროს ვერყიდვის შემდეგ, „ლაციოს" გენერალური დირექტორის, ლუკა ბარალდის განცხადებით, რომაელები იაპონელი ჰიდეტოში ნაკატას შეძენაზე მუშაობენ. შეგახსენებთ, რომ პიზარო გახლდათ ნაწილი სამკაციანი ტრანსფერის გეგმისა — პიზაროსთან ერთად ლაპარაკი იყო მარტინ იორგენსენისა და ალბერტოს შეძენაზე — რომელიც ჩავარდა.

„უდინელებთან საუბრის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა, რადგან ისინი წამგებიან ვარიანტებს გვთავაზობდნენ. პირველი შეთანხმების შემდეგ მათ ბევრი რამ შეცვალეს" — განმარტა ბარალდიმ, რომელსაც, ბუნებრივია, კარგად მოეხსენებოდა, რომ მწვრთნელს, რობერტო მანჩინის პიზაროს შეძენით თავდასხმის გამრავლფეროვნების დიდი იმედი ჰქონდა.

„ნაკატა მნიშვნელოვანი ფეხბურთელია. ტაქტიკურ მოსაზრებათა გამო მისი შეძენა ძალიან გვინდა. ამ ტრანსფერს კომერციული მნიშვნელობა სწორედ რომ ნაკლებად აქვს. ერთი სიტყვით, კლუბებს შორის ყველაფერი მოგვარებულია და მხოლოდ მოთამაშის პასუხს ველით" — დასძინა ბარალდიმ.

მოგეხსენებათ, ჰიდეტოში ნაკატა „პარმას" ფეხბურთელია.

და კიდევ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ „ლაციო" „მონაკოსგან" მარკო სიმონესაც იყიდის — მონაკოელებს ყოფილი მილანელისთვის ოთხივ მხარეს გაუხსნიათ ხელ-ფეხი.



ჰიდეტოში ნაკატა

პაპუნა კედია

წაიყვანეთ, რა...

ბერგდოლმო ჰურივით მშვიდად იყიდეს

მათიას ზამერმა, დორტმუნდის „ბორუსიას" მწვრთნელმა, როგორც ჩანს, გუნდიდან წასული იორგ ჰაინრიხის შემცვლელი იპოვა. ჰაინრიხი, ბუნდესლიგის დაწყებამდე „კიოლნში" გადაბარგდა და ზამერსაც დაცვის ხაზში პრობლემები შეექმნა. წამყვანი მცველები დაშავებულნი არიან, კრისტოფ მ

სარბიელი: კროკო

წარმოგიდგენთ

კროკოს თბილისურ ბიუროებში შეგიძლიათ მიბრძანდეთ ნებისმიერი ვალუტით

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. I დივიზიონი. I ტური						
		9 აგვისტო						
16.30	001	პრესტონი-ვესტ ჰემი	2,8	3,2	2,35	1,49	1,27	1,35
19.00	002	ბრედფორდი-ნორვიჩი	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
19.00	003	ბარნლი-კრისტალ პალასი	2,3	3,3	2,8	1,35	1,26	1,51
19.00	004	დერბი-სტოკი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
19.00	005	იფსვიჩი-რედინგი	1,85	3,2	4,0	1,17	1,26	1,77
19.00	006	მილუოლი-უიგანი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
19.00	007	როტერჰემი-კარდიფი	2,35	3,3	2,7	1,37	1,25	1,48
19.00	008	შეფილდი-ფილინგემი	1,6	3,4	5,6	1,08	1,24	2,11
19.00	009	უოლსოლი-ვესტ ბრომვიჩი	2,7	3,3	2,35	1,48	1,25	1,37
19.00	010	უოტფორდი-ქოვენთრი	2,1	3,2	3,3	1,26	1,28	1,62
19.00	011	უიმბლდონი-ქრიუ	1,8	3,4	3,8	1,17	1,22	1,79
21.35	012	ნოტინგემი-სანდერლენდი	2,15	3,2	3,2	1,28	1,28	1,6
		ინგლისი. II დივიზიონი. I ტური						
		9 აგვისტო						
19.00	013	ბარნსლი-კოლჩესტერი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
19.00	014	ბრისტოლი-ნოტსი	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19
19.00	015	ლუტონი-რაჩდენი	2,0	3,3	3,4	1,24	1,25	1,67
19.00	016	ოლდჰემი-ბრაიტონი	2,35	3,3	2,7	1,37	1,25	1,48
19.00	017	პიტერბრო-პარტლეტული	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
19.00	018	პლიმუთი-გრიმსბი	2,05	3,3	3,3	1,26	1,26	1,65
19.00	019	პორტ ვეილი-ბორნმუთი	2,0	3,3	3,4	1,24	1,25	1,67
19.00	020	ქუინს პარკი-ბლეკპული	1,6	3,5	5,3	1,09	1,22	2,1
19.00	021	სუინდონი-უენსლი	2,5	3,3	2,45	1,42	1,23	1,4
19.00	022	ტრანმერი-ბრენტფორდი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
19.00	023	რექსემი-ჩესტერფილდი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
19.00	024	უიკომბი-სტოკპორტი	2,25	3,2	3,0	1,32	1,28	1,54
		ინგლისი. III დივიზიონი. I ტური						
		9 აგვისტო						
19.00	025	კარლაილი-იორკი	2,2	3,3	3,0	1,32	1,26	1,57
19.00	026	ჰალიფაქსფილდი-კემბრიჯი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
19.00	027	ჰალი-დარლინგტონი	1,7	3,3	4,8	1,12	1,25	1,95
19.00	028	კიდერმინსტერი-მენსფილდი	2,25	3,2	3,0	1,32	1,28	1,54
19.00	029	ლეიტონი-დონკასტერი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
19.00	030	ლინკოლნი-ოქსფორდი	2,3	3,2	2,9	1,33	1,28	1,52
19.00	031	მაკლსფილდი-ბოსტონი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
19.00	032	ნორთჰემპტონი-ტორკი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
19.00	033	როჩდეილი-იოვილი	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
19.00	034	სკანთორპი-როუერსი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
19.00	035	საუთენდი-ჩელტენემი	2,35	3,3	2,7	1,37	1,25	1,48
19.00	036	სუონსი-ბერი	2,3	3,3	2,8	1,35	1,26	1,51
		ინგლისი. კონფერენსი. I ტური						
		9 აგვისტო						
19.00	037	ბარნეტი-ტელფორდი	2,05	3,3	3,3	1,26	1,26	1,65
19.00	038	ექსეტერი-პალიფაქსი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
19.00	039	ფორესტ გრინი-ნორთვიჩი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
19.00	040	გრეივსენდი-ბარტონი	2,3	3,2	2,9	1,33	1,28	1,52
19.00	041	ლეი-დაგ ენდ რედი	3,1	3,2	2,2	1,57	1,28	1,3
19.00	042	მორეკომბი-უოკინგი	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19
19.00	043	სკარბოროუ-ფარნბოროუ	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
19.00	044	შრიუსბერი-მარგეიტი	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19
19.00	045	სტივენეიჯი-ჩესტერი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
19.00	046	ტემუორთი-პერეფორდი	2,35	3,2	2,8	1,35	1,27	1,49

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		10 აგვისტო						
21.00	047	ალდერშოტი-აკრინგტონი	1,95	3.3	3,5	1,22	1,25	1,69
		შოტლანდია. პრემიერლიგა. I ტური						
		9 აგვისტო						
16.30	050	დანფერმლაინი-სელტიკი	9,0	4,6	1,3	3,04	1,13	1,01
16.30	051	რეინჯერსი-კილმარნოკი	1,15	6,0	14,0	1	1,06	4,19
	052	რეინჯერსი-კილმარნოკი 0:1	1,4	3,8	4,2			
19.00	053	დანდი იუნაიტედი-პიბერნიანი	2,35	3,2	2,8	1,35	1,27	1,49
19.00	054	პართისი-აბერდინი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
19.00	055	მოსერუელი-დანდი	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
19.00	056	პარტიკი-ლივინგსტონი	2,3	3,2	2,9	1,33	1,28	1,52
		შოტლანდია. I დივიზიონი. I ტური						
		9 აგვისტო						
19.00	057	კლაიდი-ეარი	1,55	3.6	5,6	1,08	1,21	2,19
19.00	058	რეითი-სტ.მირენი	2,45	3,3	2,5	1,4	1,23	1,42
19.00	059	როსი-ბრეჩინი	2,0	3,4	3,1	1,25	1,21	1,62
19.00	060	სტ.ჯონსტონი-ქუინი	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
	061	სტ.ჯონსტონი-ქუინი 0:1	2,05	3,2	2,45			
19.00	062	ფოლკირკი-ინვერნესი	1,9	3,6	3,3	1,24	1,2	1,72
		შოტლანდია. II დივიზიონი. I ტური						
		9 აგვისტო						
19.00	063	ალოა-დამბარტონი	1,9	3,6	3,3	1,24	1,2	1,72
19.00	064	არბროთი-ბერიკი	2,1	3,5	3,0	1,31	1,23	1,61
19.00	065	ისტ ფაიფი-სტენჰაუსმური	2,45	3,4	2,45	1,42	1,22	1,42
19.00	066	ჰამილტონი-ფორფარი	2,0	3,5	3,2	1,27	1,23	1,67
19.00	067	მორტონი-ერდრი	2,3	3,4	2,7	1,37	1,24	1,5
		შოტლანდია. III დივიზიონი. I ტური						
		9 აგვისტო						
19.00	069	ალბიონი-სტრანრარი	2,25	3,4	3,0	1,35	1,28	1,59
19.00	070	ელგინი-ისტ სტირლინგი	2,0	3,5	3,2	1,27	1,23	1,67
19.00	071	გრეტნა-ქუინს პარკი	1,85	3,6	3,4	1,22	1,19	1,74
19.00	072	მონტროუზი-პიტერჰედი	3,1	3,4	2,1	1,62	1,25	1,29
19.00	073	სტირლინგი-კოუდენბითი	2,3	3,4	2,7	1,37	1,24	1,5
		გერმანია. ბუნდესლიგა. II ტური						
		9 აგვისტო						
18.30	075	პანოვერი-ბაიერნი	4,0	3,3	1,8	1,8	1,24	1,16
18.30	076	ფრაიბურგი-პანხა	2,0	3,3	3,4	1,24	1,25	1,67
18.30	077	ვერდერი-მიონხენგლადბახი	1,6	3,5	5,3	1,09	1,22	2,1
18.30	078	კიოლნი-კაისერსლაუტერნი	2,3	3,3	2,8	1,35	1,26	1,51
18.30	079	მიუნხენი-ჰალეე	2,35	3,3	2,7	1,37	1,25	1,48
18.30	080	დორტმუნდი-ვოლფსბურგი	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
18.30	081	ბოხუმი-ჰამბურგი	2,45	3,2	2,6	1,38	1,26	1,43
		10 აგვისტო						
20.30	082	შტუტგარტი-პერტა	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
20.30	083	აინტრახტ-ლეეერკუზენი	2,7	3,2	2,4	1,46	1,27	1,37
		გერმანია. II ბუნდესლიგა. II ტური						
		8 აგვისტო						
22.00	084	ტრირი-აუე	1,65	3,5	4,8	1,12	1,22	2,02
22.00	085	რეგენსბურგი-ფიურტი	2,45	3,2	2,6	1,38	1,26	1,43
22.00	086	ლიუბეკი-არმინია	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
		10 აგვისტო						
18.00	087	ობერჰაუზენი-ალენი	1,85	3,3	3,8	1,18	1,24	1,76
18.00	088	უნიონი-კოტბუსი	2,45	3,1	2,7	1,36	1,28	1,44
18.00	089	უნტერჰახინგი-დუისბურგი	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57
18.00	090	ოსნაბრიუკი-კარლსრუე	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
18.00	091	ნიურნბერგი-ბურგჰაუზენი	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19
		11 აგვისტო						
23.15	092	ალემანია-მაინცი	2,35	3,3	2,7	1,37	1,25	1,48

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). II ტური						
		9 აგვისტო						
17.00	094	ზტ.პაული-მიუნსტერი	1,6	3,6	4,6	1,1	1,18	2,01
17.00	095	ქემნიცი-კიოლნი(მ)	1,9	3,4	3,5	1,21	1,23	1,72
17.00	096	ესენი-ვერდერი(მ)	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
17.00	097	კილი-ნოიმიუნსტერი	1,65	3,5	4,6	1,12	1,21	1,98
17.00	098	ჰამბურგი(მ)-ურდინგენი	2,2	3,3	3,0	1,32	1,26	1,57
17.00	099	ვუპერტალი-ბრაუნშვაიგი	2,8	3,3	2,3	1,51	1,26	1,35
17.00	100	დინამო-ვატენშაიდი	2,3	3,2	2,9	1,33	1,28	1,52
17.00	101	შალკე(მ)-დორტმუნდი(მ)	2,45	3,1	2,7	1,36	1,28	1,44
17.00	102	პადერბორნი-ლაიპციგი	1,6	3,6	5,0	1,1	1,21	2,09
		გერმანია						
		რეგიონალლიგა (სამხრეთი). II ტური						
		8 აგვისტო						
22.00	104	შვაინფურტი-ბაიერნი(მ)	2,3	3,3	2,8	1,35	1,26	1,51
22.00	105	ფულენდორფი-ემბორნი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
22.00	106	ჰოფენჰაიმი-ელვერსბერგი	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
22.30	107	ერფურტი-სიგენი	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
		9 აგვისტო						
17.30	108	ვეენი-კიცერსი	1,85	3,2	4,0	1,17	1,26	1,77
17.30	109	მაინცი(მ)-კაიზერსლაუტერნი(მ)	2,15	3,3	3,1	1,3	1,26	1,59
17.30	110	აუგსბურგი-ფოიხტი	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
17.30	111	ზაარბრიუკენი-აალენი	1,65	3,5	4,8	1,12	1,22	2,02
17.30	112	შტუტგარტი(მ)-ოფენბახი	2,45	3,2	2,6	1,38	1,26	1,43
		საფრანგეთი. I დივიზიონი. II ტური						
		8 აგვისტო						
23.45	114	მარსელი-ოსერი	1,7	3,2	5,0	1,11	1,26	1,95
		9 აგვისტო						
20.15	115	ლილი-პსჟ	2,5	2,9	2,8	1,34	1,32	1,42
23.00	116	ლიონი-მონაკო	1,95	3,1	3,8	1,19	1,28	1,7
23.00	117	ბასტია-მეცი	1,65	3,3	5,3	1,1	1,25	2,03
23.00	118	ბორდო-მონპელიე	1,5	3,5	7,0	1,04	1,23	2,33
23.00	119	ლე მანი-აიაჩო	2,0	3,1	3,6	1,21	1,28	1,66
23.00	120	ნანტი-ლანსი	2,0	3,1	3,6	1,21	1,28	1,66
23.00	121	ნიცა-სოშო	2,0	3,1	3,6	1,21	1,28	1,66
23.00	122	რენი-ტულუზი	1,85	3,1	4,2	1,15	1,28	1,78
23.00	123	სტრასბური-გენგამი	2,1	3,0	3,5	1,23	1,31	1,61
		საფრანგეთი. II დივიზიონი. II ტური						
		9 აგვისტო						
23.00	124	ნანსი-სტ.ეტიენი	2,1	2,8	3,8	1,19	1,35	1,61
23.00	125	რუანი-ლავალი	2,25	2,8	3,4	1,24	1,35	1,53
23.00	126	სედანი-ნიორი	1,7	3,1	5,3	1,09	1,28	1,95
23.00	127	ტრუა-გრენობლი	1,7	3,1	5,3	1,09	1,28	1,95
23.00	128	ვალანსი-შატორუ	2,45	2,8	3,0	1,3	1,34	1,44
23.00	129	ამიენი-ანუე	1,65	3,1	6,0	1,07	1,29	2,04
23.00	130	ბეზანსონი-ისტრი	2,05	2,9	3,8	1,2	1,33	1,64
23.00	131	კაენი-კლერმონი	1,65	3,1	6,0	1,07	1,29	2,04
23.00	132	კრეტეი-გენიონი	2,2	2,8	3,5	1,23	1,35	1,55
		10 აგვისტო						
21.00	133	ლორიანი-ლე ავრი	2,15	2,9	3,5	1,23	1,33	1,58
		ბელგია						
		I დივიზიონი. I ტური						
		8 აგვისტო						
23.30	135	ბრიუგე-გენკი	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
	136	ბრიუგე-გენკი 0:1	1,95	3,2	2,6			
		9 აგვისტო						
23.00	137	შარლეროა-ლიერსი	2,7	3,3	2,35	1,48	1,25	1,37
23.00	138	ბეერსხოტი-მონსი	1,8	3,5	3,6	1,18	1,19	1,77
23.00	139	ლოკერენი-სტ.ტრუიდენი	1,75	3,4	4,2	1,15	1,23	1,87
23.00	140	ანდერლეხტი-ანტვერპენი	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
	141	ანდერლეხტი-ანტვერპენი 0:1	1,65	3,3	3,3			
23.00	142	ვესტერლო-ლუვეე	1,8	3,5	3,6	1,18	1,19	1,77
		10 აგვისტო						
18.00	143	პეუსდენი-სერკლი	2,1	3,5	3,0	1,31	1,23	1,61
18.00	144	ბეევერენი-გენტი	2,3	3,5	2,6	1,38	1,22	1,49
23.00	145	მუსკრონი-სტანდარდი	2,5	3,4	2,4	1,44	1,22	1,4
		ავსტრია						
		ბუნდესლიგა. III ტური						
		9 აგვისტო						
22.30	150	პაშინგი-ზალცბურგი	2,25	3,2	3,0	1,32	1,28	1,54
		შვეიცარია						
		სუპერლიგა. V ტური						
		8 აგვისტო						
22.30	157	გრასჰოპერი-სერვეტი	1,65	3,4	5,0	1,11	1,24	2,02
22.30	158	ქსამაქსი-ციურიხი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
		9 აგვისტო						
22.30	159	სტ.გალენი-თუნი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
22.30	160	იანგ ბოიზი-ვილი	1,5	3,6	6,5	1,05	1,21	2,31
22.30	161	ბაზელი-აარაუ	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
	162	ბაზელი-აარაუ 0:1	1,75	3,2	3,0			

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		შვეიცარია. ჩემპიონატი. IV ტური						
		8 აგვისტო						
22.30	163	ბუელე-ბადენი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
22.30	164	ბელინცონა-შო დე ფონი	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
	165	ბელინცონა-შო დე ფონი 0:1	1,95	3,2	2,6			
22.30	166	კიასო-ლუცერნი	2,7	3,2	2,4	1,46	1,27	1,37
22.30	167	კრინსი-ანიო	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
22.30	168	შაფჰაუზენი-ვადუცი	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57
22.30	169	კონკორდია-ვინტერთური	1,85	3,3	3,8	1,18	1,24	1,76
22.30	170	დელემონი-ვოლენი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
22.30	171	მეირინი-ივერდონი	3,3	3,2	2,1	1,62	1,28	1,26
		დანია. სუპერლიგა. III ტური						
		9 აგვისტო						
20.00	172	ესბიერგი-კოპენჰაგენი	2,8	3,3	2,3	1,51	1,26	1,35
		10 აგვისტო						
18.00	173	ოლბორგი-ფრემი	1,45	4,0	6,5	1,06	1,18	2,47
	174	ოლბორგი-ფრემი 0:1	2,05	3,2	2,45			
18.00	175	ნორდსიელანდი-ოდენსე	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
18.00	176	ჰერფიოლგე-ვიბორგი	2,4	3,3	2,6	1,38	1,24	1,45
18.00	177	მიდტიულანდი-აკადემისკი	1,6	3,5	5,3	1,09	1,22	2,1
20.35	178	ბრიონდბიუ-ორჰუსი	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
	179	ბრიონდბიუ-ორჰუსი 0:1	1,95	3,2	2,6			
		დანია. I დივიზიონი. II ტური						
		9 აგვისტო						
18.00	180	ბ 1913-სკიოლდი	3,0	3,5	2,1	1,61	1,23	1,31
18.00	181	ნორდიულანდი-სილკებორგი	4,0	3,8	1,7	1,94	1,19	1,17
18.00	182	ბრიონსპიონ-იოლსტეკე	2,9	3,5	2,15	1,58	1,23	1,33
		10 აგვისტო						
16.00	183	რანდერსი-კიოგე	2,9	3,5	2,15	1,58	1,23	1,33
16.00	184	ფრემადი-ფკ ორჰუსი	2,5	3,5	2,35	1,45	1,21	1,4
16.00	185	ბ 93-პორსენსი	2,4	3,5	2,45	1,42	1,21	1,44
18.00	186	ნიკობინგი-სიონდერიულანდი	2,8	3,5	2,2	1,55	1,23	1,35
18.00	187	ვეიტე-ფრედერისია	2,1	3,5	3,0	1,31	1,23	1,61
		შვედეთი.						
		ალსვენსკა. XVII ტური						
		9 აგვისტო						
19.00	190	იურგორდენი-ენჩიოპინგი	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
	191	იურგორდენი-ენჩიოპინგი 0:1	1,65	3,3	3,3			
		10 აგვისტო						
20.00	192	ჰალმსტადი-აიკ	2,05	3,3	3,3	1,26	1,26	1,65
20.00	193	იორგრიტე-მალმიო	2,3	3,3	2,8	1,35	1,26	1,51
		11 აგვისტო						
22.00	194	ელფსბორგი-იორებრო	1,95	3,3	3,5	1,22	1,25	1,69
22.00	195	იოსტერი-ლანდსკრონა	3,0	3,3	2,2	1,57	1,26	1,32
		შვედეთი. სუპერეტა. XVIII ტური						
		9 აგვისტო						
19.00	196	ბრომაპოიკარნა-ბოდენსი	1,65	3,6	4,6	1,13	1,21	2,01
19.00	197	ფორვარდი-გეფლე	2,5	3,4	2,4	1,44	1,22	1,4
19.00	198	ფრიოლუნდა-ფალკენბერგი	1,5	4,0	5,6	1,09	1,18	2,33
		10 აგვისტო						
21.00	199	ოპერა-ატვიდაბერგი	1,75	3,5	4,0	1,16	1,21	1,86
21.00	200	იფკ მალმიო-ჰეკენი	3,2	3,5	2,0	1,67	1,23	1,27
21.00	201	ნორჩიოპინგი-ვესტეროსი	1,85	3,4	3,6	1,19	1,22	1,74
21.00	202	კალმარი-სილვია	1,3	4,8	8,0	1,02	1,11	3
	203	კალმარი-სილვია 0:1	1,75	3,2	3,0			
21.00	204	ტრელებორგი-ასირისკა	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19
		ნორვეგია.						
		ტიპელიგა. XVI ტური						
		10 აგვისტო						
21.00	205	სტაბეკი-ლილესტრიომი	2,0	3,4	3,3	1,25	1,24	1,67
21.00	206	ბრანი-ალესუნდი	1,65	3,6	4,6	1,13	1,21	2,01
21.00	207	ტრომსიო-სოუნდალი	2,4	3,5	2,45	1,42	1,21	1,44
21.00	208	ბრინი-ოდ გრენლანდი	2,0	3,5	3,2	1,27	1,23	1,67
21.00	209	რუსენბორგი-ლინი	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
	210	რუსენბორგი-ლინი 0:1	1,65	3,3	3,3			
23.05	211	ვოლერენგა-ვიკინგი	2,35	3,3	2,7	1,37	1,25	1,48
		11 აგვისტო						
22.00	212	მოლდე-ბოდიო გლიმტი	2,0	3,5	3,2	1,27	1,23	1,67
		ნორვეგია.						
		I დივიზიონი. XVIII ტური						
		9 აგვისტო						
19.00	214	ჰამარი-სანდეფიორდი	1,8	3,6	3,5	1,19	1,18	1,77
		10 აგვისტო						
19.00	215	სკეიდი-ალტა	1,45	4,2	6,0	1,07	1,16	2,47
	216	სკეიდი-ალტა 0:1	2,05	3,2	2,45			
21.00	217	ჰიონეფოსი-მანდალი	1,7	3,8	4,0	1,17	1,19	1,94
21.00	218	მოსი-ბერგენი	1,7	3,8	4,0	1,17	1,19	1,94
21.00	219	იორნი-ოსლო იოსტი	2,0	3,6	3,1	1,28	1,21	1,66
21.00	220	ჰიოდი-რაუფოსი	2,45	3,6	2,35	1,45	1,19	1,42
21.00	221	სტარტი-სტრიომსგოდსეტი	1,9	3,8	3,2	1,26	1,19	1,73
21.00	222	ჰაუგესუნდი-ფრედრიკსტადი	2,2	3,6	2,7	1,36	1,21	1,54

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ისლანდია. პრემიერ დივიზიონი. XIII ტური						
		9 აგვისტო						
19.00	226	ვესტმანაეიარი-გრინდავიკი	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
		10 აგვისტო						
23.00	227	აკრანესი-ფრამი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
23.00	228	პაფნარფიორდური-ფილკირი	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
23.00	229	რეიკიავიკი-აკურეირი	1,6	3,6	5,0	1,1	1,21	2,09
		11 აგვისტო						
01.00	230	თროტური-ვალური	1,9	3,1	3,6	1,17	1,24	1,66
		ირლანდია. პრემიერლიგა. XVII ტური						
		9 აგვისტო						
21.00	236	დროგედა-ბოჰემიანსი	2,8	3,2	2,35	1,49	1,27	1,35
23.30	237	ლონგფორდი-უოტერფორდი	2,3	3,1	3,0	1,32	1,3	1,52
		თურქეთი. სუპერლიგა. I ტური						
		8 აგვისტო						
22.00	239	სამსუნი-ბეშიქთაში	4,6	3,6	1,65	2,01	1,21	1,13
		9 აგვისტო						
21.00	240	კონია-ტრაბზონი	3,4	3,3	2,0	1,67	1,25	1,24
21.00	241	გენჩლერბირლიგი-ელაზიგი	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
	242	გენჩლერბირლიგი-ელაზიგი 0:1	1,75	3,2	3,0			
21.00	243	გალათასარაი-დიარბაქირი	1,2	5,3	12,5	1	1,09	3,72
	244	გალათასარაი-დიარბაქირი 0:1	1,5	3,6	3,6			
21.00	245	ბურსა-გაზიანთეფი	2,4	3,3	2,6	1,38	1,24	1,45
		10 აგვისტო						
19.00	246	სებაფი-დენიზლი	2,35	3,3	2,7	1,37	1,25	1,48
21.00	247	ადანა-მალათია	2,15	3,3	3,1	1,3	1,26	1,59
21.00	248	რიზე-ანკარაგიუჯიუ	2,2	3,3	3,0	1,32	1,26	1,57
21.00	249	ფენერბაჰჩე-ისთანბული	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
	250	ფენერბაჰჩე-ისთანბული 0:1	1,75	3,2	3,0			
		რუსეთი. პრემიერლიგა. XX ტური						
		8 აგვისტო						
16.00	255	ტორპედო-სენიტი	2,15	3,1	3,3	1,26	1,3	1,59
		9 აგვისტო						
16.00	256	ცსკა-ალანია	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
	257	ცსკა-ალანია 0:1	1,65	3,3	3,3			
16.00	258	კრილია-მეტალური	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
	259	კრილია-მეტალური 0:1	1,65	3,3	3,3			
16.00	260	შინიკი-ურალანი	1,5	3,6	6,5	1,05	1,21	2,31
16.00	261	სატურნი-როსტოვი	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
	262	სატურნი-როტორი 0:1	2,05	3,2	2,45			
16.00	263	რუბინი-დინამო	2,25	3,1	3,1	1,3	1,3	1,55
		ჩეხეთი. გამბრინუს ლიგა. III ტური						
		9 აგვისტო						
17.25	264	პრეიბრამი-სპარტა	3,5	3,2	2,0	1,67	1,27	1,23
20.15	266	ოპავა-იაბლონეცი	2,2	3,1	3,2	1,28	1,3	1,57
20.15	268	სინოტი-ბანიკი	2,6	3,0	2,6	1,39	1,3	1,39
20.15	269	ლიბერეცი-პლზენი	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
	270	ლიბერეცი-პლზენი 0:1	1,75	3,2	3,0			
22.35	271	სლავია-ზლინი	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
	272	სლავია-ზლინი 0:1	1,75	3,2	3,0			
		10 აგვისტო						
20.00	273	ჟიკოვი-ბლშანი	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
	274	ჟიკოვი-ბლშანი 0:1	1,75	3,2	3,0			
20.15	267	ბუდეიოვიცე-ბრნო	2,5	3,1	2,6	1,38	1,27	1,41
		11 აგვისტო						
19.40	265	სიგმა-ტეპლიცე	2,2	3,1	3,2	1,28	1,3	1,57
		სლოვაკეთი. I ლიგა. IV ტური						
		9 აგვისტო						
20.00	275	პუხოვი-ტრენჩინი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
20.00	276	დუბნიცა-ტრნავა	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
20.00	277	ბ.ბისტრიცა-პეტრჯალკა	2,6	3,1	2,5	1,41	1,27	1,38
21.00	278	სლოვანი-რუჟომბეროკი	1,65	3,5	4,8	1,12	1,22	2,02
23.00	279	ჟილინა-ინტერი	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19
		ხორვატია. III ტური						
		8 აგვისტო						
23.00	291	ჰაიდუკი-ინკერი	1,2	5,3	12,5	1	1,09	3,72
	292	ჰაიდუკი-ინკერი 0:1	1,5	3,6	3,6			
		9 აგვისტო						
20.30	293	ზაგრები-კამენი	1,6	3,6	5,0	1,1	1,21	2,09
20.30	294	მარსონია-ზადარი	2,05	3,2	3,4	1,24	1,27	1,64
20.30	295	სლავენი-ციბალია	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
23.00	296	ოსიეკი-ვარტექსი	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
		10 აგვისტო						
23.15	297	რიეკა-დინამო	4,2	3,4	1,75	1,87	1,23	1,15
		პოლონეთი. I ლიგა. I ტური						
		8 აგვისტო						
23.00	307	კატოვიცე-ვროცლინი	2,15	3,1	3,3	1,26	1,3	1,59
		9 აგვისტო						
20.00	308	პოლკოვიცე-ვისლა	4,4	3,3	1,75	1,88	1,25	1,14
20.30	309	ლეჩნა-პლოცკი	2,2	3,1	3,2	1,28	1,3	1,57
22.00	311	ამიკა-პოლონია	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
22.00	312	ლეხი-გურნიკი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
		10 აგვისტო						
20.30	313	ოდრა-ლეგია	2,8	3,1	2,4	1,47	1,29	1,35
		უნგრეთი. NB1. III ტური						
		8 აგვისტო						
21.00	315	ბალატონი-ჰალადაში	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
		9 აგვისტო						
21.00	316	უიპეშტი-ზალაეგერსეგი	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19
21.00	317	ბეკეშჩაბა-ფერენცვაროში	3,4	3,3	2,0	1,67	1,25	1,24
23.00	318	მტკ-პეჩი	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
23.00	319	ვიდეოტონი-ეტო	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
23.00	320	დებრეცენი-სოპრონი	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
		არგენტინა. აპერტურა. II ტური						
		8 აგვისტო						
05.10	350	ველესი-ბანფილდი	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19
		9 აგვისტო						
23.00	351	ლანუსი-კოლონი	2,25	3,2	3,0	1,32	1,28	1,54
02.15	352	ნიუელსი-ინდეპენდიენტე	2,1	3,2	3,3	1,26	1,28	1,62
05.10	353	რასინგი-სან ლორენსო	2,35	3,2	2,8	1,35	1,27	1,49
23.30	354	ატლეტიკო-არსენალი	2,35	3,2	2,8	1,35	1,27	1,49
		10 აგვისტო						
23.30	355	ჩაკარიტა-ხიმნასია	2,3	3,2	2,9	1,33	1,28	1,52
23.30	356	ტალიერესი-ოლიმპო	2,3	3,2	2,9	1,33	1,28	1,52
23.30	357	ნუეევა ჩიკაგო-კილმესი	1,65	3,5	4,8	1,12	1,22	2,02
00.05	358	ბოკა ხუნიორსი-როსარიო	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
02.10	359	ესტუდიანტესი-რივერ პლეიტი	3,1	3,2	2,2	1,57	1,28	1,3
		ურუგვაი. კლაუსურა. IV ტური						
		10 აგვისტო						
23.30	363	ლივერპული-დანუბიო	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
23.30	364	ხუვენტუდი-სერო	2,8	3,3	2,3	1,51	1,26	1.35
23.30	365	ბელა ვისტა-ვილა ესპანიოლა	1,6	3,6	5,0	1,1	1,21	2,09
23.30	366	ფენიქსი-რივერ პლეიტი	1,45	4,0	6,5	1,06	1,18	2,47
	367	ფენიქსი-რივერ პლეიტი 0:1	2,05	3,2	2,45			
23.30	368	მირამარი-მალდონადო	2,7	3,2	2,4	1,46	1,27	1,37
23.30	369	უონდერერსი-პენიაროლი	4,0	3,3	1,8	1,8	1,24	1,16
23.30	370	ნასიონალი-პლასა	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
	371	ნასიონალი-პლასა 0:1	1,65	3,3	3,3			
23.30	372	კოლონია-დეფენსორი	2,6	3,2	2,45	1,43	1,26	1,38
23.30	373	ტაკუარემბო-სენტრალი	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57
		ჩილე. კლაუსურა. III ტური						
		8 აგვისტო						
05.00	375	უნ.ესპანიოლა-კობრესალი	1,75	3,4	4,8	1,15	1,28	1,99
		9 აგვისტო						
24.00	376	რეინჯერსი-უონდერერსი	1,85	3,3	3,8	1,18	1,24	1.76
00.30	377	პალესტინო-უანიპატო	1,6	3,6	5,0	1,1	1,21	2,09
01.00	378	აუდაქსი-სან ფელიპე	1,65	3,5	4,8	1,12	1,22	2,02
03.05	379	უნ.ჩილე-პუერტო მონტი	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
04.00	380	კოკიმბო-კობრელოა	3,1	3,3	2,15	1,59	1,26	1,3
		10 აგვისტო						
00.30	381	კონსეპსიონი-ტემუკო	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
01.00	382	უნ.კატოლიკა-კოლო კოლო	2,3	3,2	2,9	1,33	1,28	1,52
		მექსიკა. აპერტურა. II ტური						
		9 აგვისტო						
01.00	387	საგუარესი-ტოლუკა	2,45	3,2	2,6	1,38	1,26	1,43
02.00	388	ტეკოსი-ირაპუატო	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57
03.05	389	მორელია-კერეტარო	1,45	4,0	6,5	1,06	1,18	2,47
05.00	390	სან ლუისი-პუებლა	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
06.45	391	ატლასი-პუმასი	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19
		10 აგვისტო						
22.00	392	ატლანტე-ჩივასი	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
22.00	393	პაჩუკა-ტიგრესი	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
02.00	394	სანტოსი-ნეკახა	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
02.00	395	ამერიკა-კრუს ასული	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
		აშშ. MLS. XVII ტური						
		8 აგვისტო						
05.00	399	კანსასი-სან ხოსე	2,4	3,0	2,9	1,33	1,31	1,47
		9 აგვისტო						
01.00	400	ჩიკაგო-ნიუ იორკი	2,15	3,0	3,4	1,25	1,31	1,59
04.30	401	ვაშინგტონი-ნიუ ინგლენდი	2,3	2,9	3,2	1,28	1,33	1,52
06.00	402	კოლორადო-დალასი	1,65	3,4	5,0	1,11	1,24	2,02
07.00	403	ლოს ანჯელესი-კოლამბუსი	1,9	3,2	3,8	1,19	1,26	1,73
		ინგლისი. სუპერთასი (კარდიფში).						
		10 აგვისტო						
18.00	404	არსენალი-მანჩესტერი	2,7	3,3	2,35	1,48	1,25	1,37
		პორტუგალია. სუპერთასი (გიმარაეშში).						
		10 აგვისტო						
24.00	405	პორტუ-ლეირია	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
		ჰოლანდია. სუპერთასი (ამსტერდამში).						
		10 აგვისტო						
21.00	406	პსვ-უტრეხტი	1,45	4,0	6,5	1,06	1,18	2,47
		ამხანაგური მატჩები						
		8 აგვისტო						
24.00	449	ლესტერი-ბარსელონა	3,8	3,3	1,8	1,76	1,22	1,16
		9 აგვისტო						
18.00	450	პორტსმუთი-ფეიენოორდი	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
19.00	451	ბირმინგემი-მალიორკა	2,3	3,2	2,9	1,33	1,28	1,52
19.00	452	ლივერპული-ვალენსია	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
19.45	453	ლიდსი-ასტონ ვილა	2,1	3,2	3,3	1,26	1,28	1,62
24.00	454	საუთჰემპტონი-პარმა	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4

პარიზული ფესტივალის ლაურეატი გუნდი: ჯემალ ნათელაშვილი, ლევან გორგაძე, ბექა ბექაური, ლაშა ტვილდიანი, მალხაზ ნიჟარაძე, საბა გავაშელიშვილი, გიორგი შოშიაშვილი, ანზორ მარტყოფლიშვილი

დასასრული
დასაწყისი „სარბიელი“ N 144, 145, 146

პარიზული ზაფხული

პარიზში ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის გახსნაზე „ლოტოს“ შავ-თეთრ ფორმებში გამოწყობილი საქართველოს დელეგაციის წევრთა შორის ერთი წითლებში ჩაცმული უცხო სხეულივით შევნიშნეთ, რომელიც ჩვენი ქვეყნის ალამს დიდი მონდომებით იქნევდა. ტელეობიექტივში რომ გავხედე, მართლაც უცხო აღმოჩნდა. მერელა გავიგე, რომ იგი პარიზის საერთაშორისო უნივერსიტეტის ერთწლიანი სტაჟის სტუდენტი, აზერბაიჯანელი ორხან ახმედოვი ყოფილა.

ეს ბაქოელი ამ ფესტივალის მომსახურე მოხალისეთა რაზმში ჩაწერილა და ჩვენს დელეგაციას რითაც შეეძლო, მაინც ეხმარებოდა. ყველას თან გადაგვცვა და ჩვენს დელეგაციაში კარგი ბიჭის სახელიც დაიგდო. უნდა გენახათ, ეს კარგი ბიჭი როგორ გულშემატკივრობდა ჩვენს ძიუდოისტებს, რომლებიც ყოველდღიურად მედალს მედალზე იგებდნენ.

მახსოვს, ასპარეზობების დაწყებამდე საქართველოსა და აზერბაიჯანის ძიუდოისტთა ხელმძღვანელებისა და მწვრთნელების გულთბილი შეხვედრა, ერთმანეთს რომ გადაეხვივნენ და მხარზე ხელს ძმურად უტყაპუნებდნენ. იქვე იყო ჩვენი ორხან ახმედოვიც, რომელიც ოდნავ განზე გამდგარი ამ სცენას თვალებაციმციმებული შესცქეროდა. მაშინ ვიფიქრე, ეს ჩვენი და აზერბაიჯანელი ძიუდოისტები ერთმანეთს რომ ფინალში გადაეყაროონ, ნეტა ორხანი რა ჭკუაზე დადგება-მეთქი.

მართლაც, შეჯიბრების ბოლო ფინალურ ბრძოლაში. ჩვენი ლაშა ტვილდიანი (50კგ.) და აზერბაიჯანელი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მანამ ერთმანეთს ეტაკებოდნენ, ქართველთა ბანაკს გავხედე, რადგან ორხანი მუდამ იქ იყო, მაგრამ იმ ბრძოლის წინ აღარ ჩანდა. ის იყო ვიფიქრე, ახლა კი ნამდვილად თავის მშობლიურ ბანაკში იქნება-მეთქი და თვალით უნდა მომეძებნა, რომ ბრძოლაც დაიწყო. ორხანისთვის სადღა მეცალა, ტატამს ფოტოაპარტის ჭუჭრუტანიდან მივაჩერდი. თუმცა ბრძოლა დიდხანს არ გაგრძელებულა და ლაშამ ის შეხვედრაც, ისე როგორც ყველა დანარჩენი, დროზე ადრე დაასრულა, კვლავ წმინდა გამარჯვება იზეიმა და ოქროს მედალიც მოიპოვა. მოზეიმე ქართველისა და დამწუხრებული აზერბაიჯანელის რეაქციაზე ორხანის ემოციამ ისე დამაინტერესა, რომ თვალი ახლა უმალ მისი თანამოძმეებისკენ გამექცა...

ლაშა ტვილდიანი

გიორგი შოშიაშვილი

საბა გავაშელიშვილი

მაგრამ მოდით, მანამ ორხანს მივაგნებ, ჩვენს ძიუდოისტთა გუნდზე მოგითხრობთ.

პარიზის ძიუდოს ინსტიტუტის ტატამზე ჩვენებმა გამოცდა კარგად ჩააბარეს. ქართველთა უმეტესობა აქ ერთი დღეც არ ამოწურულა. პირველ დღეს ორივე ფინალში ქართველები და ფრანგები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მასპინძელთა მარცხი დიდი მოულოდნელობა იქნებოდა და ისინი არც დამარცხებულან. თუმცა, მალხაზ ნიჟარაძისა (90 კგ) და ლევან გორგაძის (+90) მიერ პირველსავე დღეს მოპოვებულმა ვერცხლის მედლებმა ძალზე გაგვახარა.

შეჯიბრების მეორე დღესაც ისევ ორ წონით კატეგორიაში განაწილდა მედლები და ჩვენები კვლავ საპატიო კვარცლბეკზე ვიხილეთ. ამჯერად ბექა ბექაურმა (73) ვერცხლის, საბა გავაშელიშვილმა (82) კი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. თუმცა, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების უფროსი მწვრთნელი ჯემალ ნათელაშვილი და ჩვენი ქვეყნის ძიუდოს ფედერაციის გენერალური მდივანი ანზორ მარტყოფლიშვილი ამ დღეს ოქროს ელოდნენ. ისინი ასპარეზობის მესამე დღესაც ასეთივე მოლოდინით იყვნენ აღსავსენი და, რაღა დაგიმალოთ — ჩვენც.

საქმე ისაა, რომ საქართველოს ძიუდოსტებმა ორი წლის წინათ ესპანეთის ქალაქ მურსიაში წლევანდელივით ექვსი მედალი მოიპოვეს, ოღონდ მაშინ ოთხი ჩემპიონი გვყავდა. მადა ჭამაში მოდისო და, ახლა ოთხი ოქრო თუ არა, ამის ნახევრის იმედი მაინც გვქონდა, მაგრამ მოლოდინი არც მესამე დღეს გამართლდა. ეგ კი არა, მხოლოდ ერთი ბრინჯაოს ამარა დავრჩით, ეს ჯილდო კი გიორგი შოშიაშვილმა დაიმსახურა...

იმ დღეს ხელი მოეცარა მიხეილ ყოფშიძეს (66), რომელიც VII ადგილზე გავიდა. არადა მას, უარეს შემთხვევაში, ვერცხლის მედალი მედალი მაინც უნდა მოეპოვებინა.

საქმე ის იყო, რომ ყოფშიძემ თავდაპირველად ყველა შეხვედრა წმინდად მოიგო. ფინალში გასასვლელ ბრძოლასაც, ყოფილ თანაგუნდელ ტარიელ სონიშვილთან — ახლა ბერძენთა სახელით მოასპარეზე ზიდირიდისი რომაა — ბოლო სამ წამამდე ორი იუკოთი და ვაზარით იგებდა. სწორედ ამ დროს ყოფშიძემ უნებურად დაიჩოქა ისე, რომ მეტოქე არც შეხებია, ეს კი მას, ძიუდოს წესებისამებრ, დამარცხებად ჩაეთვალა. ამით აღელვებული მომდევნო ბრძოლისთვის ვეღარ განეწყო და კვლავ დამარცხდა.

და მაინც, ჩვენი ძიუდოისტები უჩემპიონოდ არ დარჩნენ. ასპარეზობის ბოლო დღეს საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ლაშა ტვილდიანი ავიდა, ვისმა გამარჯვებამაც წერტილი დაუსვა ქართველთა პარიზულ ნადავლს. ამასთან, ტვილდიანის ოქრომ ჩვენი ძიუდოისტები არაოფიციალური გუნდური ჩათვლის სამი განზომილებიდან ორში — ქულათა რაოდენობითა და მედლების სიმრავლით, პირველ ადგილზე გაიყვანა.

და მაშინ, როცა პარიზის ძიუდოს ინსტიტუტის დარბაზში ტვილდიანის გამარჯვების აღსანიშნავად საქართველოს ჰიმნი ჟღერდა, თვალი ისევ აზერბაიჯანელთა ბანაკისკენ გამექცა, მაგრამ ჩვენი „კარგი ბიჭი“ ორხან ახმედოვი არც იქ ჩანდა და არც სადმე სხვაგან. ეტყობა, იგი იმ ფინალური ბრძოლისას თანამემამულეებსაც მოერიდა და ჩვენც. მერე ორივეს მიულოცა მედლები, იმ დილით კი ყველანი გულთბილად გამოგვაცილა.

ავთანდილ გურასაშვილი
პარიზი-თბილისი
ავტორის ფოტოები

მალხაზ ნიჟარაძე

ბექა ბექაური

ლევან გორგაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალიევი ვინატროთ?

ქართულ ტანვარჯიშს სცივა და ხერხემალი სტკივა

გაზაფხულზე თბილისს ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის თავკაცები სტუმრობდნენ. ცხადია, მათ ვაკეში მხატვრული ტანვარჯიშის დარბაზიც მოინახულეს. კორიდორში სტუმრებს შეშის მორებისთვის მოუკრავთ თვალი... უხერხულობაში ჩავარდნილმა მწვრთნელებმა აუხსნეს, ამ შეშით ზამთარში ქორეოგრაფიის ოთახს ვათბობთო... გაყინულ დარბაზში მოძველებული ხალიჩის ქვეშ ამორტიზირებული დამცავი ფენაც რომ ვერ უნახავს, საერთაშორისო ფედერაციის იტალიელ პრეზიდენტ ბრუნო გრანდის ჩვეული იტალიური ტემპერამენტით რაღაც ასეთი წამოუძახია — ბარაქალა თქვენს ქალობას, ასეთ პირობებში ასეთი ტანმოვარჯიშეებს რომ ზრდითო და იქვე ისიც უკითხავს, არ გეშინიათ, ამ პატარა ფერიებმა ხერხემლის ტრავმა რომ მიიღონო...

სტუმრები ჩვენებს შეჰპირებიან საერთაშორისო სტანდარტების ხალიჩას წლეულსვე გამოგიგზავნითო. მწვრთნელებს ხმაგაუმტარი ფარდაც უხსენებიათ... უბრალო ტიხრით გამოყოფილ გვერდით დარბაზში ტრენაჟორებზე მოვარჯიშე მორაგბეები და კულტურისტები კლასიკური მელოდიების ფონზე აშკარა დისონანსს ქმნიან.

სპორტის დეპარტამენტის დარბაზში მოვიხელთეთ საქართველოს მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა უფროსი მწვრთნელი, ელისო ბედოშვილი, რომელთან საუბარიც საქართველოს პირველობით დავიწყეთ

მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა მწვრთნელი ელისო ბედოშვილი შეგირდებთან თათია დონაძესა და ქეთი ხატიაშვილთან ერთად

— საქართველოს პირველობა ივლისის დასაწყისში ჩატარდა სპორტის. მხოლოდ თბილისის და ბათუმის გუნდები მონაწილეობდნენ. თვალში საცემია მონაწილეთა სიმცირე — უფროს ასაკში სულ 5 გოგონა ასპარეზობდა, უმცროსებში — 12.

— უფროსებში, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა ქეთი ბაკურაძემ. აშკარად მოუმატა თათია დონაძემ, რომლის მეორე ადგილი სასიამოვნო მოულოდნელობა გახლდათ. მესამეზე ბათუმელი ვანდა კერესელიძე გავიდა.

პატარებში კონკურენცია ვერავინ გაუწია ქეთი ხატიაშვილს. ვფიქრობთ, ეს უნიჭიერესი გოგონა პეკინის ოლიმპიადისთვის გუნდის ლიდერი იქნება.

— სექტემბერში მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს სამივე პრიზიორი გაემგზავრება?

— მსოფლიოს ჩემპიონატს სექტემბრის ბოლოს ბუდაპეშტი მასპინძლობს. თუ ფინანსებმა არ შეგვიშალა ხელი, უნგრეთის დედაქალაქში ჩვენი სამივე პრიზიორი ვამოვა. მსოფლიოს ჩემპიონატზე სრული გუნდით ასპარეზობის შანსი პირველად გვაქვს. წინა ორ ჩემპიონატზე — 1999 წელს ოსაკაში და 2001 წელს მადრიდში გუნდურ ასპარეზობაში მონაწილეობის საშუალება არ მოგვეცა.

— ოლიმპიური ლიცენზიები მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშდება?

— დიახ, ლიცენზიები მხოლოდ ბუდაპეშტის შედეგების მიხედვით განაწილდება. ათენის ოლიმპიურ თამაშებზე სულ 24 ტანმოვარჯიშე გამოვა. გუნდურ ვარჯიშში პირველ ხუთ ადგილზე გასულ ქვეყანას უფლება ეძლევა, ათენში 2-2 მონაწილე წაიყვანოს. დაბეჯითებით ვიტყვი, ეს 10 ადგილი წინასწარ ცნობილია — რუსეთს, უკრაინას, ბელარუსს, ბულგარეთსა და ესპანეთს უძლიერესი ტანმოვარჯიშეები ჰყავთ. კიდევ 10 ლიცენზია გაიცემა პრინციპით — თითო ქვეყნიდან თითო ტანმოვარჯიშე. აი, ამ მე-6-მე-15 გუნდური ადგილისთვის უნდა იბრძოლონ ჩვენმა გოგონებმა. დარჩენილ 4 ადგილს საერთაშორისო ფედერაცია ანაწილებს თავის შეხედულების მიხედვით.

დასანანია, მსოფლიოს ჩემპიონატზე არ გვეყოლება ჩვენი მსაჯი.

— კი მაგრამ, ხომ გვყავს საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი. ბელა კობალაძემ სპეციალური გამოცდებიც კი ჩააბარა...

— სამწუხაროდ, ჩვენს გოგონებს ბუდაპეშტში მისი მხარდაჭერა მოაკლდებათ. ტანვარჯიშის მსოფლიო ფედერაციამ წინასწარ შეარჩია 24 მსაჯი. ისინი სამ ბრიგადად დაყვეს, თითოეულში 8 უმაღლესი კატეგორიის მსაჯია. ბელას ბრიგადამ უკვე იმსაჯა 2001 წელს მადრიდში. ბუდაპეშტში სხვა ბრიგადას გამოცდიან. ქალბატონ ბელას დიდი შანსი აქვს, იმ ათ არბირს შორის მოხვდეს, რომლებიც ათენში იმსაჯებენ.

საერთოდ, მხატვრული ტანვარჯიში ყოველთვის ცნობილი იყო მიკერძოებული მსაჯობით. ყველა თავისიანს „ქაჩავდა". რაც ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარედ იტალიელი ეგლე აბრუცინი მოვიდა, სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვალა. მის სიტყვას საქმეც მოჰყვა. ნიუ ორლეანში ოთხ არბიტრს მისცეს დისკვალიფიკაცია.

— ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვების რაიმე შანსი თუ გვაქვს?

— შანსი გვაქვს, თუმცა აქვე იმასაც გეტყვით, რომ ლიცენზიის მოპოვება ბევრ ფაქტორზე იქნება დამოკიდებული. ქეთი ბაკურაძე და ვანდა კერესელიძეც საერთაშორისო ტურნირებზე და მსოფლიო თასის გათამაშებაზე ურიგოდ არ ირჯებიან. საგრძნობლად ამაღლდა თათია დონაძის ოსტატობაც. ის ჯერ ძალიან ახალგაზრდაა — აგვისტოში უსრულდება 15 წელი. საოცრად ნიჭიერი თაობა მოდის. ფინანსები და ხელშეწყობაა საჭირო, რომ მათი ოსტატობა კიდევ უფრო დაიხვეწოს. აუცილებელია ხშირი მონაწილეობა საერთაშორისო ტურნირებზე, რათა გოგონები ხშირად მოხვდნენ უმკაცრესი მსაჯების თვალთახედვის არეში.

— სპორტის დეპარტამენტიდან ასეთი მწირი დაფინანსებით როგორ ახერხებთ ტურნირებზე გამგზავრებას?

— სპონსორებს ვეძებთ, დახმარებას ვთხოვთ ბიზნესმენებს და შეძლებულ ორგანიზაციებს. ხშირად მშობლები იხდიან ტურნირზე გასამგზავრებელ ფულს. ქეთი ბაკურაძეს თბილისის სპორტის სამმართველო აფინანსებს. ვანდა კერესელიძე ბათუმელია და აჭარის სპორტის დეპარტამენტი ეხმარება. თუ ვინ დააფინანსებს თათია დონაძის ბუდაპეშტში გამგზავრებას, ჯერ კიდევ გაურკვეველია. ისრაელში, ტურნირზე მამის ფულით წამოვიდა ქეთი ხატიაშვილი.

— როგორც შევიტყვეთ, უნივერსიადაზე სამხრეთ კორეაში გამგზავრებაზე უარიც გითქვამთ...

— არ არის ამდენი ფინანსები, თანაც, ამ დღეებში ბაქოში იწყება მსოფლიო თასის გათამაშება. კორეიდან დაბრუნებული გოგონები უბრალოდ, ვერ მოასწრებენ ენერგიის აღდგენას და მსოფლიოს ჩემპიონატის მზადების რიტმიდან ამოვარდებიან.

რაკიღა ბაქო ვახსენეთ, მინდა ორიოდე სიტყვით პარალელი გავავლო საქართველოსთან მიმართებაში. ჰეიდარ ალიევის ვაჟი ილხამ ალიევი ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარეა. მისი ცოლი კი ტანვარჯიშის ფედერაციის პრეზიდენტი, მათ 120 ათასი დოლარი გადაიხადეს საწევროს სახით, რომ მსოფლიო თასის გათამაშების ეს ეტაპი ბაქოში ჩატარებულიყო. სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, სადაც სპორტსმენები საკუთარი ჯიბიდან იხდიან ყველანაირ ხარჯებს, აზერბაიჯანელები ყველაფერს თავიანთ თავზე იღებენ, რაც ზემოთნახსენებ თანხაზე ალბათ სამჯერ მეტი მაინც იქნება. გარდა ამისა, მათ სამშობლოში დააბრუნეს და შარშან მოქალაქეობაც მისცეს მანამდე რუსეთის სახელით მოასპარეზე დინარა გიმატოვას. ყველანაირად ცდილობენ, რომ ამ გოგომ ათენში გასამგზავრებელი ლიცენზია მოიპოვოს.

— ჩვენ კი სიდნეის თამაშების მონაწილე ინგა თავდიშვილი საერთოდ დავკარგეთ...

— ინგა რამდენიმე წელიწადია, იტალიაში ცხოვრობს. გენუასთან ახლოს, პატარა ქალაქ ფანოში ჩვენი თანამემამულე ლალი დოლიძე მუშაობდა ერთ-ერთ კლუბში მწვრთნელად. მან მიიწვია ინგა თავის მწვრთნელთან ერთად. ეტყობა, საკმაოდ ძლიერი კლუბია, როგორც შევიტყვეთ, სწორედ ამ კლუბის წევრია იტალიის უძლიერესი ტანმოვარჯიშე ლაურა ზაკილი. ინგას იქ ყველანაირი პირობები შეუქმნეს, საუცხოო დარბაზში ვარჯიშობს, შეკრებებს გადის კუნძულებზე, უამრავ შეჯიბრებებზე გამოდის. მისი კლუბი 4-ჯერ გახდა იტალიის გამარჯვებული, ერთხელ ევროპის საკლუბო ტურნირიც მოიგეს.

— მერედა, რატომ არ ჩამოდის ინგა?

— სადაც უკეთესი პირობებია, ეს გოგოც იქ არის. ორ წელიწადზე მეტია, მისი გამოსვლა არ გვინახავს. მადრიდის მსოფლიოს ჩემპიონატზეც ვერ ჩამოვიდა. თვითმფრინავის ფული უშოვეს, მაგრამ სასტუმროს თანხა ვერ გადაურიცხეს ფედერაციიდან. მოკლედ იგი თავისი ცხოვრებით ცხოვრობს. იქაური კლუბის პრეზიდენტს მისი იმედი აქვს. მანქანაც მისცეს, მართვის კურსებზე ფული თვითონ გადაუხადეს, ყოველი გამარჯვების შემდეგ იქნება ალბათ პრემიალური თანხებიც. ბინის შესახებ არ ვიცი, თავიდან ლალი დოლიძესთან ოჯახში ცხოვრობდნენ, არც ის გამიკვირდება, იქ რომ გათხოვდეს და ოჯახი შექმნას. ვფიქრობ, მისი პიკი სიდნეის ოლიმპიადა იყო. რა პირობებში და როგორ კონკურენციაში მოუწევთ აქაურ გოგონებს ლიცენზიისთვის ბრძოლა, ინგამ ალბათ ამაზეც იფიქრა.

— ახლახან დისკვალიფიკაცია მოუხსნეს რუს ტანმოვარჯიშეებს კაბაევას და ჩაშჩინას. რას ფიქრობთ, ვინ გაუწევს კონკურენციას ამ გოგონებს ათენში ოლიმპიური მედლებისთვის ბრძოლაში?

— ოლიმპიადაზე ალინა კაბაევას და ირინა ჩაშჩინას მხოლოდ კიეველმა ანა ბესონოვამ შეიძლება გაუწიოს ღირსეული კონკურენცია. ანა წარსულში ცნობილი ტანმოვარჯიშის, ირინა დერიუგინას აღზრდილია, საპრიზო სამეულში მოხვედრის მცირე შანსი აქვთ ბულგარელ სიმონა პეიჩევას და უკრაინელ თამარა ეროფეევას, თუ ამ უკანასკნელმა ტრავმა დროულად მოიშუშა.

ზურაბ ტაბატაძე



ქეთი ბაკურაძე

ლეიტონს დაუბლაგვდა
ოზბიჭის კაცური მარცხების ქრონიკა

ლეიტონ ჰიუიტი გაუთავებლად ოკვებს

TENNIS MASTERS CANADA

მონრეალი. მაგარსაფარი

საპრიზო 2,45 მილიონი $

მეორე წრე

ანდრე აგასი (1, აშშ) — ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) 7:6 (7:3), 6:2; **ხუან კარლოს ფერერო** (2, ესპანეთი) — იუნეს ელ აინაუი (მაროკო) 6:3, 6:4; **რეჯერ ფედერერი** (3, შვეიცარია) — გრეგ რუზეკი (ბრიტანეთი) 6:4, 6:3; **მაშა მირნი** (ბელარუსი) — ლეიტონ ჰიუიტი (5, ავსტრალია) 7:5, 6:7 (4:7), 7:5; **ენდი როდიკი** (6, აშშ) — ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) 7:6 (8:6), 6:2; **რაინერ შუტლერი** (8, გერმანია) — ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) 6:1, 6:4; **სებასტიან გროჯანი** (9, საფრანგეთი) — რამონ დელგადო (პარაგვაი) 6:3, 6:2; **ირჟი ნოვაკი** (10, ჩეხეთი) — ჯეიმს ბლეიკი (აშშ) 7:6 (7:5), 6:3; **პარადორნ შრიჩაფანი** (11, ტაილანდი) — დანიელ ნესტორი (კანადა) 7:5, 6:4; **კაროლ კუჩერა** (სლოვაკეთი) — მარტინ ფერკერკი (15, ჰოლანდია) 7:6 (10:8), 7:6 (7:3); **ტომი რობრედო** (16, ესპანეთი) — უეინ ბლეკი (ზიმბაბვე) 6:0, 6:2; **სიმონ ლაროსი** (კანადა) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) 7:6 (7:5), 1:6, 7:5; **ფელისიანო ლოპესი** (ესპანეთი) — პოლანრი მათიო (საფრანგეთი) 6:4, 3:6, 7:5; **ვინსენტ სპადია** (აშშ) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 6:0, 6:7 (5:7), 7:5; **დავიდ ნალბანდიანი** (არგენტინა) — ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) 6:4, 6:4; **კაროლ ბეკი** (სლოვაკეთი) — მარიანო საბალეტა (არგენტინა) 6:1, 6:1

ჯანიანი, მძლავრად მომწოდებელი და ბადესთან მოსაფრე ბიჭების წინააღმდეგ ლეიტონ ჰიუიტს ერთი იარაღი აქვს — ბასრი შემოვლებული დარტყმები.

თუკი მატჩის მსვლელობისას ის ამ იარაღის ამუშავებას ვერ ახერხებს — და ამგვარი რამის მოწმენი წლეულს უკვე ბევრჯერ გავხდით — მაშინ უცილობლად მარცხდება.

ასე მოხდა მონრეალურ მასტერსტურნირზეც, სადაც საჩემპიონო-თარბოლო ქულების მაძიებელმა ოზბიჭმა მსოფლიო რეიტინგსიის 32-ეადგილოსან ბელარუს ამბალთან, მაქს მირნისთან დათმო.

დიახ, 26 წლის, მძლავრად მოგლაჯუნე და ძალზედ მშვიდი მეტოქის წინააღმდეგ ჰიუიტმა საკადრისი სიბასრე მართლაც ვერ მოიძია, თუმცაღა სამი სეტის განმაკლობაში მაინც კაცურად იომა და ბოლომდეც დაიხარჯა.

ამ „კაცურად ომისა“ და „ბოლომდე დახარჯვის“ ფასი თითქოს არც ისე ბევრი, მხოლოდ რვა საჩემპიონათრბილო ქულა გახლავთ, მაგრამ, თუკი საამკვირაო სიაში ჰიუიტი მე-13 ადგილზე იყო, საიმკვირაოში უკვე მე-11-ზე იდგება — მან პირველ წრეშივე ჩაჩოგნილ მოიასა და მონრეალში სულაც არგამოსულ ფელიქს მანტიას გაუსწრო.

ამასობაში — კვლავ ივჯომარდა ამქრის 33 წლის პირველოსანმა ანდრე აგასიმ, ვისაც კანადური ტიტული სამგზის კი მოუნაგრავს, მაგრამ ბოლოჯერ ამის გაკეთება რვა წლის წინ, პიტ სამპრასის ძლევით შეძლო.

იმ დღეს ის ცხოვრებაში პირველად შეეხალა ნიჭიერსა და წლეულს ორი — ადელაიდური პლუს ეშტორილური — ტიტულის მომხვეჭ ნიკოლაი დავიდენკოს. რუსბიჭი რიგიანად გაირჯა, ოღონდ ლეგენდარული არმენოამერიკელის წინაშე მაინც ქედის მოდრეკა მოუხდა.

მათი მატჩი, ისევე როგორც მრავალი სხვაც, დღის განმავლობაში ხამუშ-ხამუშ მოდგაფუნე წვიმამ შეწყვიტა. მაგრამ აგასიზე არც ამას უმოქმედია. ნაგრილევს ის კიდევ უფრო ნატიფი იყო.

მასსავით დამაჯერებლად ითამაშეს იმ დღეს მისმომდევნოდ განთესილებმა — წლევანდელი როლანგაროსის ჩემპიონმა ფერერომა და წლევანდელი უიმბლდონის პირველოსანმა ფედერერმა. პირველ ჯიუტ მაროკოელ ვეტერან ელ აინაუის მოუგო, მეორემ კი — ენდი როდიკთან ერთად მსოფლიოს უსწრაფეს მომწოდებელ მომწოდებელ გრეგ რუზეკის.

ფერეროსა და ელ აინაუის შეხლასთან დაკავშირებით სათქმელია, რომ მათ აქამდე ექვსჯერ ედავათ და — ვინ წარმოიდგენდა — ექვსივე მატჩი მაროკოელს მოეგო.

რაც შეეხება ფედერერს, კანადობრიტანელის ძლევით მან 55-ე საამსეზონო გამარჯვება მოიპოვა, საიდანაც 26 VS 6 მარცხის წილ — სწორედ მაგარსაფარზეა მონაგრული.

სხვაფრივ — პირველ წრეში გუსტავო კუერტენის მაოტარმა კვებეკელმა, რეიტინგსიის 314-ე საფეხურზე მდგომმა სიმონ ლაროსმა თავისი მოულოდნელად წარმატებული სვლა არგენტინელი აკასუსოს გაგდებით განაგრძო.



ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მარია შარაპოვა ლოს ანჯელესში კარგადაც ერთობა

მარწყვი გავარდეს, კიმის ჯამში ჩავარდეს

JP MORGAN CHASE OPEN

ლოს ანჯელესი. მაგარსაფარი. საპრიზო 635 ათასი $

მეორე წრე

კიმ კლაისტერსი (1, ბელგია) — ემილი ლუა (საფრანგეთი) 6:1, 6:1; **ლინდსი დევენპორტი** (2, აშშ) — ბარბარა შეტი (ავსტრია) 6:3, 6:1; **სვეტლანა კუზნეცოვა** (რუსეთი) — ელენა დოკიჩი (5, სერბეთი) 4:6, 7:6 (7:5), 6:3; **ამანდა კუცერი** (8, სამხრეთ აფრიკა) — არანჩა პარა (ესპანეთი) 6:1, 6:1; **ვირხინია რუანო პასკუალი** (ესპანეთი) — ელენა დემენტიევა (9, რუსეთი) 6:3, 5:7, 7:5; **მედან შონესი** (10, აშშ) — ფავიოლა სულუაგა (კოლუმბია) 3:6, 6:3, 7:6 (7:4); **ნიკოლ პრატი** (ავსტრალია) — ელენი დანილიდუ (12, საბერძნეთი) 6:2, 6:7 (5:7), 6:3; **პაოლა სუარესი** (არგენტინა) — ელენა ბოვინა (13, რუსეთი) 2:6, 7:5, 7:5; **ვიქტორია კუტუზოვა** (უკრაინა) — ალექსანდრა სტივენსონი (15, აშშ) 6:3, 3:3 სტივენსონმა შეწყვიტა

ტურნირის მთავარგანთესილებმა — კიმ კლაისტერსმა და ლინდსი დევენპორტმა მომდევნო წრეში გასვლის პრობლემა ძალზედ იოლად და მოხდენილად გადაწყვიტეს.

ბუთქუნა კიმმა, ვისაც შანსი აქვს, ტურნირზე წარმატებულად ჩოგნაობის შემთხვევაში, სერენა უილიამსს ამქრის პირველობა ჩამოართვას, ერთ ბეწო ფრანგ ემილი ლუას გადაუარა. ტურნირის სამგზის გამარჯვებულმა ლინდსი დევენპორტმა კი კოხტა ავსტრიელ ბარბარა შეტს აჯობა.

მომდევნო შეხვედრას კიმი 16 წლის რუს მარია შარაპოვასთან გამართავს. რძემარწყვა მაშა იქაურ მასმედიელთაგან დიდ პატივშია და თავისზე წლით უმცროს უკრაინელ ვიკა კუტუზოვასთან ერთად ნიადაგ მთავარსათაურებში ღიმილოსნობს.

ამ ვიკამ, 15 წელი ორი კვირის მერე რომ შეუსრულდება, შარაპოვას დარად მესამე წრეში თამაშის უფლებაც მოიპოვა. ეგ მით უფრო ადვილად გამოუვიდა, რომ მისმა მეტოქემ, დრანცულა ალექსანდრა სტივენსონმა ტრავმის გამო მატჩის შეწყვეტა არჩია.

ლევან კელაურაძე

ანანდი მოგებას სწავლობს

ვიორელ ბოლოგანი

„ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ დაწყებამდე საკუთარი თავისგან ასეთ შედეგს ნამდვილად არ მოველოდი, მაგრამ რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა. კმაყოფილების საბაბი მართლაც მაქვს, მაგრამ ჯერჯერობით ტურნირი არ დასრულებულა და წინ კვლავ ბევრი სამუშაო მელის“ — განაცხადა დორტმუნდის სუპერტურნირის ერთპიროვნულმა ლიდერმა ვიორელ ბოლოგანმა.

„დორტმუნდი 2003-ის“ მეექვსე ტურში მოლდაველი დიდოსტატი შედარებით იოლ მეტოქეს, მასპინძელ არკადი ნაიდიჩს შეხვდა.

ბოლოგანმა გერმანელთან პარტია თავიდანვე აქტიურად დაიწყო და მე-11 სვლაზე პაიკითაც გავიდა წინ. ნაიდიჩმა დაკარგული ხარისხის აღსადგენად იერიშზე ლაზიერი მიუშვა. თუმც მოლდაველი მალევე მიუხვდა ჭაბუკ გერმანელს ჩანაფიქრს და მის ლაზიერს საკუთარი ტერიტორიიდან სულ კუდით ქვა ასროლინა.

ნაიდიჩმა ახალი შეტევა წამოიწყო, თავისი ფიგურებით მეტოქის მეფის კარგადთ გამაგრებულ შტაბს მიადგა და თეთრების ბელადს პაიკებისგან გაკეთებული დამცავი კედელი მოუშალა კიდეც. ბოლოგანის „გაშიშვლებულ“ მეფეს დასაცავად წინ ლაზიერი გადაეფარა. ამის შემდეგ კი პარტია ორმხრივ შეტევებში გაგრძელდა და თამაში ნამდვილ ბრძოლაში გადაიზარდა, სადაც ბოლოგანმა უფრო იყოჩაღა, მეტოქის მეფე მარჯვენა ხაზზე უხერხულ მდგომარეობაში „გაჭედა“ და 36-ე სვლაზე დამარცხება აღიარებინა.

ამ გამარჯვებით ბოლოგანმა მნიშვნელოვნად განიმტკიცა სატურნირო მდგომარეობა და უახლეს მდევარ რუს ვლადიმერ კრამნიკს 1.5 ქულით გაექცა. მოლდაველი ასე რომ დაწინაურდა საკუთარი მარიფათის გარდა ნორჩ აზერბაიჯანელ თეიმურაზ რაჯაბოვსაც უნდა უმადლოდეს, რომელმაც მეექვსე ტურში მეორეადგილოსან კრამნიკს ნახევარი ქულა ააწაპნა.

რაჯაბოვმა მრისხანე კრამნიკთან პარტია დედოფლის გამბიტით დაიწყო და ფიგურები მოედნის ცენტრში განალაგა. კრამნიკი მათ გასადევნად დიდ ძალებს გამოვიდა და დაფაზე ფიგურების სასტიკი ხოცვა-ჟლეტა დაიწყო, თუმც საბოლოოდ 23-ე სვლაზე ორივე მხარემ ცეცხლი შეწყვიტა და ზავი გამოაცხადა.

ახლა კი მეექვსე ტურის ცენტრალურ პარტიაზეც ვთქვათ — პიტერ ლეკო და ვიშვანათან ანანდის ხვდებოდა.

უნგრელმა დიდოსტატმა ჭკვიან ინდუსთან თამაში კლასიკური E4-ით დაიწყო, რასაც მოწინააღმდეგემ სიცილიური დაცვა მიაგება. ერთმანეთს კარგად იცნობდნენ და, ორივემ თავი შეიკავა ქაჯური შეტევისგან, მხარეებმა იერიშამდე საკუთარი ტერიტორიის გამაგრება დაიწყო.

მეთექვსმეტე სვლაზე მეტოქეებმა ფიგურების გაცვლას მიჰყვეს ხელი, რის შემდეგაც ლეკო უკეთეს სტრატეგიულ მდგომარეობაში მეტოქის ფრონტის წინა ხაზზე აღმოჩნდა. ინდუსმა უნგრელის გასადევნად წინა ხაზზე ძლიერი ფიგურები გამოიყვანა, ლეკომაც დაპყრობილი ტერიტორიის შესანარჩუნებლად მტრის ბანაკში შესულ საკუთარ ფიგურებს უკან მდგარი მძიმე ტექნიკა მიაშველა და წინა ორი პარტიის მსგავსად, დაფის ცენტრში კვლავ დიდი ბრძოლა გაჩაღდა. ახლა უკვე ინდოელმა იყოჩაღა და პაიკით დაწინაურდა.

39-ე სვლაზე უნგრელმა მეტოქესთან ეტლი გაცვალა. რითაც შეცდომა დაუშვა და ინდოელის დედოფალს საკუთარ ტერიტორიაზე ღრმად შეჭრის საშუალება მისცა, შემდეგ კი ლეკომ ანანდის დაწოლას ვეღარ გაუძლო და შვიდიოდე სვლაში დამარცხება აღიარა.

მეექვსე ტურის შემდეგ ხუთი ქულით პირველ ადგილზე ვიორელ ბოლოგანია, მას ქულანახევრით ჩამორჩება კრამნიკი, ხოლო ბოლო ორი პარტიის მომგები ანანდი სამი ქულით ცხრილის ფსკერიდან მესამე ადგილზე აცოცდა. 2,5 ქულით მეოთხე პოზიციაზეა რაჯაბოვი, ორ-ორი ქულით კი ბოლო ადგილს ლეკო და ნაიდიჩი ინაწილებენ.



ვიშვანათან ანანდი

სუპერტურნირის პარალელურად მიმდინარე მატჩში რუს დიდოსტატ ვლადიმერ ბელიკოვსა და გაგერმანელებულ დავით ბარამიძეს შორის ანგარიში რუსის სასარგებლოდაა — 4:2.

ლაშა გეგეჭკორი





კობიმ ცოლთან კი მოინანია, მაგრამ მის ამბავს დაბა იგლიდან მაინც შეუბრალებლად გადასცემს ათობით ტელევიზია

მსუყე ლუკმა

გზასაცდენილ კობი ბრაიანტს ჟურნალისტები სროვად დაესივნენ

ჯერ კიდევ სულ ახლო წარსულში — წარსულიც კი არ ეთქმის — ივნისში ამ სოფლის შესახებ ამერიკის ცხრა მეათედი ვერაფერს გეტყოდათ. კოლორადოს შტატის გარეთ მისი არსებობაც ბევრს არ სმენოდა. დღე დაბა იგლის სახელი შტატებს გარეთაც გასულა. ამ დაბიდან პირდაპირ რეპორტაჟს გადმოგვცემს ENN-ი, EAPN-ი და კიდევ ათეულობით ტელეარხი. იგლის ამბებს მოგვითხრობს ყველა ამერიკული გაზეთი, დაწყებული უდიდესი USA TODAY-ით და დამთავრებული ალბუკერკეს ყოველკვირეული გამოცემით.

ექვს აგვისტოს იგლის მშვიდობიანი მცხოვრებლები უშფოთველი ღამის შემდეგ დილით ქუჩაში გამოვიდნენ და თავიანთი სოფელი ველარ იცნეს. მთავარ ქუჩაზე, სადაც დგას სასამართლოს მომცრო შენობა, გამგებლობა და ამ დასახლებული პუნქტის სხვა საკვანძო დაწესებულებები, ასობით და ათასობით კილომეტრიდან ჩამოსულ — ძირითადად ერთი პროფესიის ხალხს — ჟურნალისტებს კარგა მოზრდილი ბანაკი დაეცათ. ბანაკი ათკაციანიც გვინახია, მაგრამ ეს სულ სხვა ყოფილა. ოცზე მეტი მარტო სატელიტური გადამცემი ანტენის მატარებელი მანქანა, რამდენიმე ასეული რეპორტიორი, ფოტო და ტელეოპერატორი, ცალკე კაბელების აბლაბუდა და კიდევ უამრავი მოსეირე. საქმეში გაურკვეველს ეგონებოდა, ამერიკელებმა ბინ ლადენს მიაკვლიეს და ახლა მისთვის ცალი თვალის შეკვლების წყურვილით იხოცებიანო. ოღონდ იგლსში ბინ ლადენი არ უპოვიათ, ყოჩაღი ამერიკელი საზღვაო ფეხოსნებიც არსად ჩანდნენ.

იგლის სახელი სულ სხვა ბედნიერმა შემთხვევამ გაიტანა ამერიკის გარეთ. ამ თვენახევრის წინ იგლის საღღაც შორიახლო სასტუმროში ცნობილმა კალათბურთელმა კობი ბრაიანტმა ერთ მოსამსახურე გოგოს იმასუჭნა და, რაკი ეს გოგო პოლიციაში გაიქცა და პანიკა ატეხა, არიქა გამაუპატიურესო, სკანდალიც აგორდა, დაახლოებით ამ პირობითი სახელით — „ამერიკა კობი ბრაიანტის წინააღმდეგ“.

რატომაა ეს შემთხვევა ბედნიერი? თუნდაც იმიტომ, რომ პრესას საკბილო მიეცა, გაზეთები ორმაგი ტირაჟით იყიდება, ავარდა ტელევიზიების რეიტინგები. კარგა ხანია, მკვლელობაში ეჭვმიტანილი ფეხბურთელის ოჯეი სიმფსონის საქმე დაიხურა, ეს ყბადაღებული ტაისონიც აღარავის აუპატიურებს. საკალათბურთო ზანგობაში შარები, ცხადია, ხდება, მაგრამ ისეთიც არაფერი. აბა დეიმონ სტუდემაიერის ქეშობით ვის გააკვირვებ. მაგრამ — „მოძალადე ვარსკვლავბიჭუნა კობი ბრაიანტი“ — ეს თემა ღრმაა და აგე, როგორ წაესივნენ ვარსკვლავს, მაგრამ ნატურით ერთ მხიარულ ზანგ ბიჭს, რომელმაც ალბათ მხოლოდ ის დააშავა, რომ ცოლს უღალატა და ცოტა გვერდზე იცულლუტა. ჭკუა არ ეყო, რომ დღემდე ინკოგნიტო იმ გოგონას თვალით შეეხედა მილიონერ ბიჭთან „სექსის“ პერსპექტივისთვის. სხვათა შორის ის გოგო იმდენად მოხერხებული აღმოჩნდა, რომ ამ მედია-გიგანტებმა ჯერაც ვერ დაადგინეს მისი სახელი.

„კობი ბრაიანტმა ქალი გააპატიურა“ — და აღდგა მთელი ამერიკა მოძალადის წინააღმდეგ ამ ლოზუნგით — „კანონთან ყველა თანაბარია“. ამავე დროს იმ დალოცვილ ქვეყანაში ბევრს არ დაუტოვებია შეცდენილი ბიჭისთვის უკან დასახევი გზა და არ უძებნია, ყოველ შემთხვევაში, არ გამოუმზეურებია საქმის არსი.

მხოლოდ „დალას მავერიკსის“ გადარეულმა მფლობელმა მარკ კუბანმა თქვა, რომ კარგი ამბავი მოხდა, კომერციულად ეს დიდ მოგებას მოუტანს ნბა-სო და მას მაშინვე ჩააკმენდინეს ხმა ძალადობის ფაქტის გატრიზავებისთვის. ნბა-ს მამამთავარმა დევიდ შტერნმა მუქარაც კი შეუთვალა. შტერნს დალასის მფლობელი სხვადასხვა დროს გაკეთებული უადგოლო რეპლიკებისთვის ბარე მილიონი დოლარით ჰყავს დასჯილი.

და რა ხდებოდა 6 აგვისტოს იგლში? იქაურმა მოსამართლემ პროცესის პირველ მოსმენაზე დაიბარა კობი ბრაიანტი და ქვეყანაც ამიტომ შეიყარა, ჟურნალისტებმა, არიქა, პროცესი დაიწყოო. მაგრამ იგლში ფაცხა, ფუცხით ჩასულებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, მოსმენამ მხოლოდ შვიდ წუთს გასტანა. ბრაიანტსაც ბევრი არაფერი უთქვამს, ოროსანი ბავშვივით ატუზულიყო და მოსამართლის კითხვებზე მფრთხალად პასუხობდა — „დიახ, სერ“, ანაც „არა, სერ“.

ირაკლი ფირაყვილი

თამაზ ხუადე

გუშინ თბილისში დაკრძალეს ქართული რაგბის ერთი გამორჩეული კაცი, 38 წლის გოლიათი თამაზ ხუადე, იგივე ხუნდი.

ის ბოლო დროს ჩრდილოეთში იყო და იქ ავტოკატასტროფის მსხვერპლი შეიქნა.

ჩვენ გვახსოვს მისი რკენა და მისი დაუვიწყარი იერი ჯერ კიდევ უნივერსიტეტის გუნდიდან, მერე კიდევ თბილისის „ლოკომოტივში“, საოცარ და თავისებურ გუნდში, რომელთან ერთადაც გაიარა თავისი სარაგბო ცხოვრება. თამაზ ხუადე საკავშირო ნაკრებების წევრიც იყო, ექვს წელიწადს კი ეროვნულ გუნდში იდგა. მან ითამაშა საქართველოს ნაკრების პირველ შეხვედრაშიც, ზიმბაბვეში, 1989 წლის შემოდგომაზე.

თამაზ ხუადე მორაგბეთა იმ მოდგმის შვილი იყო, რომელსაც ჩვენ უბრალოდ მოთამაშეებად კი არა, პიროვნებებად ვხედავდით. მისი დიდი, კავკასიის მთებიდან ზვავივით დაძრული სხეული, რომელიც ჯავშანივით იფარავდა განუმეორებელ ხასიათს, ბორჯღალოსანთა ერთობის სათავესთან იდგა. იდგა უბრალოდ, ვაჟკაცურად, სადად, ღირსებით. ვიცოდით, ამ დგომას უცნაურად და უბრალოდ ერქვა — ხუნდი.

გუშინ თამაზ ხუადე ვაკის ეკლესიიდან გამოასვენეს მისმა მეგობრებმა და მიაბარეს თბილისის მიწას.

სამი ერი 2003

გამგელებულ ქურციკებს ლომუ მოინატრათ

ამ შაბათს ავსტრალიურ ბრიზბეინში მასპინძელი „ვოლაბების“ მიერ სამი ერის მატჩში სამხრეთ აფრიკელი „ქურციკების“ 29:9 მოთელვის შემდეგ დღეები გამოხდა და მხარეებს შორის ვერბალური აგრესიაც თანდათან განელდა. თანაც ახლოვდება მომდევნო მატჩი, რომელშიც განწირული აფრიკა სამი ერის ფავორიტ და წლევანდელი ტურნირის პრაქტიკულად უკვე მომგებ ახალ ზელანდიას ხვდება.

ხოლო სანამ აფრიკელები ავსტრალიელთა ლანძღვით დაიღლებოდნენ, განვლილი მატჩისშემდგომი რეპლიკები შეურაცხყოფაშიც კი გადაიზარდა. აფრიკელთა ნაკრების მავანმა გადიამ „ოზები“ მედდებადაც კი მოიხსენია, მორაგბეებად, რომლებსაც ვაჟკაცური თამაში არ შეუძლიათ. მანამდე ავსტრალიელთა თავკაცმა ედი ჯონსმა და კაპიტანმა ჯორჯ გრეგანმა აფრიკელებს ბინძური მოთამაშეები უწოდეს.

ავსტრალიელების რეპლიკები გახლდათ მოგებული თამაშის შემდგომი აღშფოთება აფრიკელთა ზღვარგადასული უხეშობების გამო. აფრიკელები მსაჯისგან მალულად მოწინააღმდეგის ცემასაც არ ერიდებოდნენ. ორი აფრიკელი ბაკის ბოთა და რობი კემფტონი შესაბამისად 8-კვირიანი და 4-კვირიანი დისკვალიფიკაციითაც დაისაჯნენ.

სხვათა შორის, კემფტონის მიერ მუხთლად ნაგვები და მოედნიდან გატანილი ავსტრალიელთა ვიცე-კაპიტანი ტოუტაი კეფუ თანდათან ფერზე მოდის. „ვოლაბების“ შერკინების ლიდერს კისერში ჩარტმყმის გამო ზურგის ტვინი შეერყა და ცალ მხარეს ხელ-ფეხში ერთი ხანობა გრძნობაც წაერთვა, თუმც ახლა უკეთაა და მალე ვარჯიშსაც დაიწყებს.

29 წლის კეფუ ძალზე მონდომებულია იქითა უქმეებზე ახალ ზელანდიასთან ტურნირის უკანასკნელ მატჩში ითამაშოს და ექიმებს აჩქარებს, ჩემი ვარჯიშის ნებართვა მალე გაეცითო. „შესაძლოა, ეს იყოს ჩემი უკანასკნელი თამაში „ოლ ბლექსთან“ და არ მინდა მას ტრიბუნიდან ვუყურო“ — ამბობს აბორიგენი მორაგბე.

სამხრეთ აფრიკა კი ახალ ზელანდიასთან რკენისთვის ემზადება. მწვრთნელმა რუდი სტრაულიმ დამწყები გუნდის 5 კაცი შეცვალა. მათ შორის ისევ ძირითადში დააყენა ოდესღაც თანაგუნდელი, 1995 წლის მსოფლიოს თასის ერთ-ერთი გმირი იუსტ ფან დერ ვესტჰოიზენი. მაგრამ საეჭვოა მისმა მჭლე გუნდმა „შავებს“ რამე დააკლოს. თითქმის ლეგენდის დონეზე დადის ფან დერ ვესტჰოიზენის ამბავი, რომელსაც — თუმც მაშინ „ქურციკებში“ ყველაზე კნაჭა გახლდათ — 1995 წელს თასის ფინალში პირველს შეუბოჭია ახალზელანდიელთა მტარვალი გარემარბი ჯონა ლომუ. ფან დერ ვესტჰოიზენის გამოცდილებას, თქმაც არ უნდა, ლომუს წონა აქვს, მაგრამ...

ისე ხუთი კაცი ახალზელანდიელებმაც შეცვალეს, მაგრამ სულ სხვა მიზეზით. დარწმუნებულები არიან, ასეთ „ქურციკებს“ სათადარიგოებითაც გაატყავებენ.

კოტე ჯოღოშია

აფრიკელთაგან მალულად ნაგვემი ტოუტაი კეფუ უკვე ფეხზეა

ᲐᲚᲕᲐᲚᲐᲓᲔ ᲛᲖᲐᲓᲐᲐ

ოთხშაბათ საღამოს ლისაბონის „სპორტინგმა“ ამერკამოვლილ „მანჩესტერ იუნაიტედს“ უმასპინძლა და 3:2 მოუგო, ამიტომაც ეს პატარა ბიჭი ხარობს. მაგრამ აქ მნიშვნელოვანი სხვაა: — „სპორტინგის“ „ალვალადეს“ სტადიონი პირველია იმ პორტუგალიურ სტადიონებს შორის, რომელიც უკვე მზადაა ევრო 2004-ის სამასპინძლოდ თავისი 50 ათასი ადგილითა და მშვენიერი მინდვრით.

REUTERS ლისბონიდან

REUTERS სანტო დომინგოდან

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲘᲡ ᲝᲥᲠᲝ

სანტო დომინგოს მოედნებსა და სტადიონებზე მეთოთხმეტე პანამერიკული თამაშები გრძელდება. მცხუნვარე იყო საკალათბურთო ტურნირი, რომელიც ბრაზილიელებმა მოიგეს. როგორც ხდება ხოლმე, ფინალში მასპინძლებმა, დომინიკელებმა გააღწიეს, თუმცა, 62:89 წააგეს და ფინალისტობითაც კმაყოფილნი იყვნენ.

ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲜᲘ

REUTERS იგლოდან

კოლორადოს იგლის საგრაფოს სასამართლოს წინ ერთი ამბავია. აქ დაიწყო კობი ბრაიანტის სასამართლო პროცესი, რომლითაც ვარსკვლავს ბრალი ედება ცხრამეტი წლის გოგოზე ძალადობაში. ასე არ უნდათ და, იგლისკენ დაძრულა „ლოს ანჯელეს ლეიკერსისა“ და პირადად კობის გულშემატკივართა ლაშქარი. ჯესიკა ვილენბორგს თავის მანქანაზე წაუწერია, კობი უდანაშაულოა, „ლეიკერსულ“ მაისურზე კი, გადავრჩინოთ გმირიო. ჯერ არავინ იცის, რას გამოარკვევს სასამართლო. ვარსკვლავთა მიმართ ვერაგ გოგონათა პროვოკაციები ხშირია, რითაც ეს უკანასკნელნი ხელის მოთბობას ცდილობენ ხოლმე.

ყოველ შემთხვევაში, მოსამართლე ფრედერიკ განეტს ბევრი სამუშაო აქვს. პირველივე სხდომაზე განსასჯელმა ბრალდება უარყო და მისტერ განეტმაც მოსმენა გადადო.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო პოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარვანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგიბაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა ღვედაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge